პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხამშაბათი, 13 აგვისტო, 1946 წ. № 162 (7685). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

გადაჭრით გავაუმჯობესოთ იდეოლოგიური მუშაობა კომკავშირში—მოწინავე (1-ლი გვერდი).
კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1946 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ (1-ლი გვერდი).
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს X სესია—კამათი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ მოხსენების გამო (მე-2 და მე-3 გვერდი).
საერთაშორისო მატჩი (მე-3 გვერდი).
პარიზის საზავო კონფერენციაზე (მე-4 გვერდი).
პარიზის კონფერენციის ორი კვირის მუშაობა (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები—დეპეშები (1ლი გვერდი).

გადაჭრით გავაუმჯობესოთ იდეოლოგიური მუშაობა კომკავშირში

ჩვენი პარტიის ბელადები ლენინი და სტალინი ასწავლიან კომკავშირს, რომ მისთვის აუცილებელია რევოლუციური თეორიის დაუფლება. პარტიამ კომკავშირს დააკისრა უდიდესი ამოცანა—ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდა. ამ ამოცანის წარმატებით განსახორციელებლად საჭიროა იდეოლოგიური მუშაობა კომკავშირში მაღალ დონეზე იდგეს.

„ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ თუ კომკავშირის აქტივის პრაქტიკული მუშაობა არ არის შეთავსებული მის თეორიულ მომზადებასთან („ლენინიზმის შესწავლა"), ისე კომკავშირში არავითარი, ოდნავ გააზრებული კომუნისტური მუშაობა არ არის შესაძლებელი",—მიგვითითებს ამხანაგი სტალინი.

ახლა, როცა მთელი საბჭოთა ხალხი შეუდგა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების დიადი სტალინური გეგმის განხორციელებას, იდეოლოგიურ მუშაობას კომკავშირში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. კომკავშირს ყველა პირობა აქვს შექმნილი მარქსისტულ-ლენინური თეორიის დასაუფლებლად, მაგრამ ამ პირობებს ყველგან სათანადოდ ვერ იყენებენ. მთელ რიგ კომკავშირულ ორგანიზაციებში მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლის საქმე დაბალ დონეზე დგას, მივიწყებულია აქტივის თეორიული სწავლება. კომკავშირის საქალაქო და რაიონული კომიტეტები არ ეხმარებიან თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთ, არ უწევენ კონტროლს და არ ამოწმებენ მათ ცოდნას. აქტივის სწავლებას სათანადოდ არ ხელმძღვანელობენ ქალაქ ქუთაისშიც კი—ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირის ერთ-ერთ მოწინავე ორგანიზაციაში. კომკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ცნობით, 200-ზე მეტი კომკავშირელი დამოუკიდებლად მუშაობს თავისი თეორიული დონის ასამაღლებლად. სინამდვილე სულ სხვას გვიჩვენებს: ბევრი კომკავშირელი აქტივისტი შეუწყნარებელ პოლიტიკურ უცოდინარობას ამჟღავნებს. კომკავშირულ ორგანიზაციათა მდივნები, ბიუროს წევრები ბევრგან არ მუშაობენ თავიანთ თავზე. აქტივის სწავლება ჩამორჩება და წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეებს თითქმის სრულებით არ ეხმარებიან სამტრედიაში, ზესტაფონში, ბათუმში, ქობულეთში, გორში, კაჭრეთში, თელავსა და ზოგიერთ სხვა რაიონში. კომკავშირის ფოთის საქალაქო კომიტეტს ერთხელაც არ შეუმოწმებია, თუ როგორ სწავლობს კომკავშირული აქტივი.

არის შემთხვევები, როცა თვით რაიკომის მუშაკები, მდივნებიც კი არ მუშაობენ თავისთავზე, არ ეუფლებიან მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. კომკავშირის გულრიფშის რაიკომის მეორე მდივანი ამხ. სალუხია წიგნსა და ჟურნალებს თვეობით არ იღებს ხელში. კომკავშირის სოხუმის რაიკომის მუშაკები, კერძოდ, რაიკომის მეორე მდივანი ამხ. ცაცუა და სააღრიცხვო განყოფილების გამგე ამხ. გაფრინდაშვილი არ სწავლობენ დამოუკიდებლად, არ იმაღლებენ ცოდნის დონეს. ბუნებრივია, ასეთ ხელმძღვანელ კომკავშირელ მუშაკებს არ შეუძლიათ გასწიონ რაიმე სერიოზული მუშაობა ახალგაზრდობის აღსაზრდელად.

ბევრგან ცუდად მუშაობენ კომკავშირული აქტივის სკოლები. ისინი ვერ ასრულებენ კადრების პოლიტიკური აღზრდის ამოცანას. მაგალითად, ლენინგორის რაიკომთან არსებული კომკავშირული აქტივის სკოლაში პარტიის ისტორიას ასწავლიდა ისეთი ამხანაგი, რომელმაც თვითონ არაფერი იცოდა ამ დარგში. კომკავშირის აბაშის რაიკომთან არსებული აქტივის სკოლის მიერ გამოშვებული მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ ერკვევა ელემენტარულ საკითხებში. ზოგიერთ რაიონში აქტივის სკოლა მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელ წრედ არის გადაქცეული.

ამას წინათ საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი კომკავშირული კადრებისა და აქტივის პოლიტიკური განათლების მდგომარეობის შესახებ საქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციებში. მიღებულ დადგენილებაში ცენტრალურმა კომიტეტმა სავსებით სამართლიანად აღნიშნა, რომ კომკავშირული მუშაკების მნიშვნელოვანი ნაწილი არ სწავლობს მარქსიზმ-ლენინიზმს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი სუსტად ხელმძღვანელობს კომკავშირული კადრებისა და აქტივის პოლიტიკურ თვითგანათლებას, პროპაგანდისტულ მუშაობაში არ არის სისტემატურობა და თანამიმდევრობა. ეს სერიოზული გაფრთხილებაა საქართველოს კომკავშირის ხელმძღვანელი მუშაკებისათვის. მათი ამოცანაა გადაჭრით გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა კომკავშირული კადრებისა და აქტივის პოლიტიკური სწავლებისადმი. საჭიროა სისტემატური კონტროლი დაწესდეს აქტივის სწავლებაზე, ყოველმხრივი დახმარება გაეწიოს წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებს. რეგულარულად უნდა ეწყობოდეს ლექციები, მოხსენებები, კონსულტაციები მარქსიზმ-ლენინიზმის საკითხებზე. პოლიტწრეები რევოლუციური თეორიის შესწავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა და მათი მუშაობა მაღალ დონეზე უნდა იდგეს. საჭიროა პროპაგანდისტებად შევარჩიოთ მომზადებული ამხანაგები, ხელი შევუწყოთ და დავეხმაროთ მათ წრის მუშაობის მაღალნაყოფიერად წარმართვაში. კომკავშირის რაიონული, საქალაქო და თვით ცენტრალური კომიტეტის მუშაკები უნდა ესწრებოდნენ წრეების მეცადინეობას, იცოდნენ როგორია პროპაგანდისტი, რა სჭირდება წრეს, აქვთ თუ არა კომკავშირელებს ლიტერატურა. მაშინ მათი ხელმძღვანელობა და დახმარება წრეებისადმი კონკრეტული და სასარგებლო იქნება.

კადრების, აქტივის მარქსისტულ-ლენინური სწავლების მაღალ დონეზე დაყენების საქმეში კომკავშირულ ორგანიზაციებს უნდა ხელმძღვანელობდნენ და ეხმარებოდნენ პარტიული ორგანიზაციები. პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელის მოვალეობაა კარგად იცოდეს, თუ როგორ ასრულებენ კომკავშირული ორგანიზაციები თავიანთ ძირითად ამოცანას, რა დახმარება სჭირდებათ მათ და აღმოუჩინოს ეს დახმარება.

საქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციებს ყველა შესაძლებლობა აქვთ აღმოფხვრან კომკავშირული კადრების, აქტივის მარქსისტულ-ლენინურ სწავლებაში არსებული ნაკლოვანებანი, კარგად მოაწყონ ახალგაზრდობის აღზრდა. მათს განკარგულებაშია საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი — მარქსიზმ-ლენინიზმის დარგში ძირითად ცოდნათა ეს ძვირფასი ენციკლოპედია. მათ განკარგულებაშია ლენინისა და სტალინის გენიალური ნაშრომები. მათ ჰყავთ მომზადებული, განათლებული ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ გასწიონ მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს X სესიამ, რომელიც ახლახან დამთავრდა, განიხილა და დაამტკიცა საქართველოს სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე ხუთწლიანი გეგმის კანონი. საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა მოაწყონ ამ გეგმის შესწავლა, დარაზმონ ახალგაზრდობის მასები მისი წარმატებით შესრულებისათვის.

ურუგვაისთან სავაჭრო ხელშეკრულების ხელმოწერა

მოლაპარაკების შედეგად, რაც მეგობრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობდა, ამა წლის 9 აგვისტოს მოსკოვში ხელმოწერილ იქნა მეგობრობისა, ვაჭრობისა და ნაოსნობის ხელშეკრულება საბჭოთა კავშირსა და ურუგვაის შორის.

ხელშეკრულებით დადგენილია, რომ ორივე მხარე ერთმანეთის მიმართ განახორციელებს უმეტესი ხელშეწყობის პრინციპს ორივე ქვეყანას შორის ყველა სახის ვაჭრობასა და ნაოსნობაში. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის დაარსება ურუგვაიში და განსაზღვრულია მისი უფლებრივი მდგომარეობა.

ხელშეკრულების დადებამ ხელი უნდა შეუწყოს სსრ კავშირსა და ურუგვაის შორის საქონელბრუნვის განვითარებას, რაც ორივე ქვეყნის ინტერესებს შეესაბამება.

ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს: საბჭოთა კავშირის მხრივ—საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ა. ი. მიქოიანმა და ურუგვაის მხრივ—ურუგვაის საგანგებო დესპანმა და სრულუფლებიანმა მინისტრმა სსრ კავშირში ბ-ნმა ემილიო ფრუგონიმ.

ხელშეკრულების ხელმოწერას დაესწრნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე მ. ა. მენშიკოვი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს კოლეგიის წევრი პ. ნ. კუმიკინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ლათინური ამერიკის ქვეყნების განყოფილების გამგე კ. ა. მიხაილოვი, ურუგვაიში სსრ კავშირის მისიის სავაჭრო მრჩეველი ე. დ. დემისენკო და სხვები და ურუგვაის მხრივ—ურუგვაის მოსკოვის მისიის 1-ლი მდივანი ბ-ნი ვ. სამპონიარო და მისიის კომერციული მდივანი ბ-ნი ბ. ელპერნი. (საქდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს X სესია

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1946 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1946 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის მოხსენების თანახმად მიღებული ცვლილებებით შემოსავლის ნაწილში 1.575.970 ათასი მანეთის რაოდენობით და გასავლის ნაწილში 1.575.970 ათასი მანეთის რაოდენობით.

2. ამ კანონის 1 მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ 1946 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავალი და გასავალი დამტკიცდეს: შემოსავალი 1.290.869 ათასი მანეთის რაოდენობით, გასავალი 641.204 ათასი მანეთის რაოდენობით, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების ბიუჯეტების სახსრების გასაძლიერებლად ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლიდან და დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 649.665 ათასი მანეთის რაოდენობით.

3. დამტკიცდეს ასს რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების 1946 წლის ბიუჯეტები შემდეგი თანხებით (ათას მანეთობით):

	შემოსავალი	გასავალი	დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან
აფხაზეთის ასსრ	98.102	98.102	—
აჭარის ასსრ	72.849	72.849	—
სამხრეთ ოსეთის ა. ო.	39.401	39.401	—
ქალაქი თბილისი	188.439	188.439	—
ქალაქი ქუთაისი	30.029	30.029	—
ქალაქი ფოთი	11.979	11.979	—
ქალაქი ჭიათურა	6.675	6.675	—
აბაშის რაიონი	7.644	7.644	—
ადიგენის "	4.799	5.909	1.110
ამბროლაურის "	8.909	8.909	—
ასპინძის "	2.323	4.694	2.371
ახალქალაქის "	10.933	10.933	—
ახალციხის "	10.702	10.702	—
ახმეტის "	5.979	5.979	—
ბაშკიჩეთის "	5.979	7.163	1.184
ბოგდანოვკის "	5.640	5.640	—
ბორჯომის "	10.030	10.030	—
ბორჩალოს "	9.363	9.363	—
ბოლნისის "	7.036	7.036	—
გეგეჭკორის "	9.437	11.640	2.203
გორის "	19.835	19.835	—
გურჯაანის "	8.020	8.020	—
დუშეთის "	10.009	10.009	—
ვანის "	8.338	8.338	—
ზემო სვანეთის "	3.353	5.144	1.791
ზესტაფონის "	12.434	12.434	—
ზუგდიდის "	17.827	17.827	—
თბილისის "	9.316	9.316	—
თელავის "	13.075	13.075	—
თეთრი წყაროს "	8.887	8.887	—
თიანეთის "	4.431	4.431	—
კასპის "	8.831	8.831	—
კაჭრეთის "	5.286	5.286	—
ქლუხორის "	4.367	8.087	3.720
ლაგოდეხის "	9.217	9.217	—
ლანჩხუთის "	9.125	9.125	—
მახარაძის "	17.120	17.120	—
მაიაკოვსკის "	6.669	6.669	—
მცხეთის "	6.992	6.992	—
ონის "	6.263	8.038	1.775
ორჯონიკიძის "	8.107	8.107	—
საგარეჯოს "	6.625	6.625	—
სამტრედიის "	11.452	11.452	—
საჩხერის "	7.879	7.879	—
სიღნაღის "	10.364	10.364	—
ტყიბულის "	7.892	7.892	—
ქარელის "	7.886	7.886	—
ქვემო სვანეთის "	2.019	3.576	1.557
ქუთაისის "	6.920	6.920	—
ყაზბეგის "	2.795	4.028	1.233
ყარაიის "	3.937	3.937	—
ყვარლის "	6.699	6.699	—
ჩოხატაურის "	8.829	8.829	—
ჩხარის "	5.787	5.787	—
ჩხოროწყუს "	4.913	6.464	1.551
ცაგერის "	6.807	6.807	—
ცხაკაიას "	11.686	11.686	—
წალენჯიხის "	6.250	6.768	518
წალკის "	8.947	8.947	—
წითელწყაროს "	5.880	5.880	—
წყალტუბოს "	5.992	5.992	—
წულუკიძის "	8.672	8.672	—
ჭიათურის "	6.185	6.185	—
ხაშურის "	11.514	11.514	—
ხობის "	6.073	6.073	—
სულ:	915.753	934.766	19.013

4. დაწესდეს 1946 წლისათვის სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლის ანარიცხების გადაცემა ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების ბიუჯეტებში შემდეგი რაოდენობით:

ა. კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან:

სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის ბიუჯეტში	75%
ახმეტისა და გურჯაანის რაიონების ბიუჯეტებში	25%
დანარჩენ ადგილობრივ ბიუჯეტებში	50%

ბ. კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან:

ბოგდანოვკის რაიონის ბიუჯეტში	80%
სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის ბიუჯეტში	75%
ჩოხატაურის რაიონის ბიუჯეტში	51%
გურჯაანის, კაჭრეთისა და ყარაიის რაიონების ბიუჯეტებში	25%
დანარჩენ ადგილობრივ ბიუჯეტებში	50%

გ. მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან:

სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის, დუშეთისა და ხობის რაიონების ბიუჯეტებში	100%
ქარელის რაიონის ბიუჯეტში	85%
წულუკიძის რაიონის ბიუჯეტში	65%
ტყიბულის რაიონის ბიუჯეტში	30%
ქალ. თბილისისა და ქალ. ქუთაისის ბიუჯეტებში	25%
ახმეტისა და გურჯაანის რაიონების ბიუჯეტებში	10%
დანარჩენ ადგილობრივ ბიუჯეტებში	50%

დ. მანქანა-ტრაქტორთა სადგურების შემოსავლიდან 15%

ე. მოსახლეობაში გავრცელებული სახელმწიფო სესხების თანხებიდან:

სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის, ადიგენის, ასპინძის, ბაშკიჩეთის, ბოგდანოვკის, გეგეჭკორის, დუშეთის, ზემო სვანეთის, ყაზბეგის, ქვემო სვანეთის, ქლუხორის, ონის, წალკის, ჩოხატაურისა და ჩხოროწყუს რაიონების ბიუჯეტებში	100%
ორჯონიკიძის რაიონის ბიუჯეტში	94%
წალენჯიხის რაიონის ბიუჯეტში	93%
საჩხერის რაიონის ბიუჯეტში	91%
თიანეთის რაიონის ბიუჯეტში	90%
კაჭრეთის რაიონის ბიუჯეტში	85%
ახალქალაქის რაიონის ბიუჯეტში	84%
ჭიათურის რაიონის ბიუჯეტში	81%
ჩხარის რაიონის ბიუჯეტში	67%
ქარელის რაიონის ბიუჯეტში	61%
ყვარლის რაიონის ბიუჯეტში	60%
ქუთაისის რაიონის ბიუჯეტში	59%
ხობის რაიონის ბიუჯეტში	56%
ცაგერის რაიონის ბიუჯეტში	51%
ამბროლაურის, ახალციხის, ვანის, ზუგდიდის, კასპის, ლანჩხუთის, მცხეთის, საგარეჯოს, თბილისის, ტყიბულისა და წულუკიძის რაიონების ბიუჯეტებში	50%
თეთრი წყაროს რაიონის ბიუჯეტში	48%
ახმეტისა და ყარაიის რაიონების ბიუჯეტებში	40%
ცხაკაიას რაიონის ბიუჯეტში	37%
აფხაზეთისა და აჭარის ასსრ ბიუჯეტებში, ქალ. ჭიათურის ბიუჯეტში, აბაშის, ბორჯომის, ბორჩალოს, ბოლნისის, გორის, გურჯაანის, ლაგოდეხის, მახარაძის, მაიაკოვსკის, სიღნაღის, თელავის, ხაშურისა და წყალტუბოს რაიონების ბიუჯეტებში	25%
ქ. ფოთის ბიუჯეტში, ზესტაფონის, სამტრედიისა და წითელწყაროს რაიონების ბიუჯეტებში	10%
ქ. თბილისისა და ქ. ქუთაისის ბიუჯეტებში	5%

ვ. არასასაქონლო ოპერაციების გადასახადიდან 100%

ზ. ერთპიროვნულ მეურნეობათა ცხენების გადასახადიდან:

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ ბიუჯეტში	75%
დანარჩენ ადგილობრივ ბიუჯეტებში	50%

5. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბრუნვის გადასახადის ანარიცხების იმ თანხების შესაბამისად, რაც დამტკიცებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ, დააწესოს ამ გადასახადის ანარიცხების პროცენტები თვითეული ავტონომიური რესპუბლიკისა, ავტონომიური ოლქისა, თვითეული რაიონისა და ქალაქისათვის.

6. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 1945 წლის ანგარიში — შემოსავლის ნაწილში 1.431.804 ათასი მანეთი და გასავლის ნაწილში 1.412.502 ათასი მანეთი, შემოსავლის გასავალზე გადამეტებით 19.302 ათასი მანეთის რაოდენობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. სტურუა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. ეგნატაშვილი

1946 წ. 8 აგვისტო. ქ. თბილისი.

უკანასკნელი ცნობები

ბულგარეთის დელეგაცია საზავო კონფერენციაზე გაემგზავრა პარიზს

სოფია, 11 აგვისტო. (საქდესი). როგორც ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, დღეს დილით პარიზს საზავო კონფერენციაზე გაფრინდა ბულგარეთის დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: პრემიერ-მინისტრი კიმონ გეორგიევი (დელეგაციის მეთაური), სახალხო კრების თავმჯდომარე კოლაროვი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე და მიწათმოქმედების მინისტრი ობოვი, საგარეო საქმეთა მინისტრი კულიშევი, ფინანსთა მინისტრი სტეფანოვი, ვაჭრობის მინისტრი ნეიკოვი და სახალხო კრების თავმჯდომარის მოადგილე კოსტოვი.

რუმინეთის დელეგაცია გაემგზავრა პარიზის საზავო კონფერენციაზე

ბუქარესტი, 12 აგვისტო. (საქდესი). გაზეთების ცნობით, გუშინ პარიზის კონფერენციაზე გაემგზავრა რუმინეთის დელეგაცია, რომელშიც შედიან ტატარესკუ, გეორგიუ-დეჟი, ვოიტეკი, პატრაშკანუ, რადაჩანუ, რალია, პაუკერი, დამჩანუ, შერბან ვოიკა, ფლორიკა ბოგდანარი (განსვენებული აკადემიკოსის ცოლი) და საგარეო საქმეთა სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს რამდენიმე უმაღლესი მოხელე.

16 აგვისტო ინდოეთში „აშკარა მოქმედების დღეა"

ლონდონი, 11 აგვისტო. (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ბომბეიდან იუწყება, მუსლიმანურმა ლიგამ მითითება მისცა მთელი პროვინციის მუსლიმანებს „16 აგვისტოს ჩაატარონ სრული ჰარტალი (მუშაობის შეწყვეტა) და შეაჩერონ მთელი საქმიანი ცხოვრება". ეს გათვალისწინებულია „აშკარა მოქმედების დღის" ჩატარების პროგრამით, რაც დანიშნულია მუსლიმანური ლიგის საბჭოს მიერ.

„აშკარა მოქმედების დღე" დანიშნული იყო ინდოეთისათვის ინგლისის საკონსტიტუციო გეგმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

გაფიცვა სტამბოლში

ანკარა, 12 აგვისტო. (საქდესი). გაზეთების ცნობით, სტამბოლში გაფიცვა დაიწყეს ავტობუსების შოფერებმა, რომლებიც ხელფასის მომატებას მოითხოვენ სიძვირის გამო. გაზეთები აღნიშნავენ, რომ გაფიცვის შედეგად ქალაქში თითქმის მთლიანად შესწყდა ავტობუსის მოძრაობა.

ეს პირველი გაფიცვა როდია ამ უკანასკნელ ხანს. როგორც ცნობილია, ამას წინათ გაფიცვა მოხდა თურქეთის სამხრეთის რაიონებზე, შემდეგ კი სტამბოლის ნავსადგურში.

გაიხსნა დემოკრატიული ახალგაზრდობის სრულიად რუმინეთის ყრილობა

ბუქარესტი, 11 აგვისტო. (საქდესი). გუშინ, ბრაშოვოში, სახელმწიფო თეატრებში გაიხსნა დემოკრატიული ახალგაზრდობის სრულიად რუმინეთის ყრილობა, რომლის მიზანია რუმინეთის დემოკრატიული ახალგაზრდობის ეროვნული ფედერაციის შექმნა. ყრილობაზე შეიკრიბა რუმინეთის სხვადასხვა ახალგაზრდული დემოკრატიული ორგანიზაციების 1300-ზე მეტი დელეგატი. ყრილობას ესწრებიან სსრ კავშირის, იუგოსლავიის, ბულგარეთის, უნგრეთის ახალგაზრდობის დელეგაციები, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და სხვა ქვეყნების დელეგაციების ჩამოსულან. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ პრემიერ-მინისტრი დოქტორი პეტრუ გროზა, პოლიტიკური პარტიების წევრები—თეოხარი ჟორჟესკუ, ბურკა და პოტოპე.

თავიანთ სიტყვებში დელეგატებმა ხაზგასმით აღნიშნეს რუმინეთის მთელი დემოკრატიული ახალგაზრდობის გაერთიანების საჭიროება ფაშიზმის ნაშთების აღმოფხვრისათვის, რუმინეთის აღდგენისათვის და მომავალ არჩევნებში დემოკრატიული პარტიების ბლოკის გამარჯვებისათვის საბრძოლველად.

საბჭოთა ახალგაზრდობის დელეგაციის ხელმძღვანელი მაიორი კოტოვი ყრილობას მიესალმა საბჭოთა ახალგაზრდობის სახელით.

რუმინეთის ახალგაზრდობის პრობლემებისადმი მიძღვნილი ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა რუმინეთის პრემიერ-მინისტრმა პ. გროზამ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს X სესია

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოდ და აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოების აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებად გარდაქმნის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1946 წლის 27 მარტის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოდ და აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოების აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებად გარდაქმნის შესახებ".

2. შეტანილ იქნას საჭირო ცვლილება საქართველოს სსრ კონსტიტუციის სათანადო მუხლებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. სტურუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი
1946 წ. 8 აგვისტო. ქ. თბილისი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს შექმნა.

2. შეტანილ იქნას სათანადო დამატება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50 და 55 მუხლებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. სტურუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი
1946 წ. 8 აგვისტო. ქ. თბილისი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სამინისტროს ორ სამინისტროდ — საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სამინისტროდ და საქართველოს სსრ მეცხოველეობის სამინისტროდ გაყოფის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1946 წლის 10 აპრილის ბრძანებულება „საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სამინისტროს ორ სამინისტროდ — საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სამინისტროდ და საქართველოს სსრ მეცხოველეობის სამინისტროდ გაყოფის შესახებ".

2. შეტანილ იქნას საჭირო დამატება საქართველოს სსრ კონსტიტუციის სათანადო მუხლებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. სტურუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი
1946 წ. 8 აგვისტო. ქ. თბილისი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საშენ მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველოს საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1946 წლის 30 ივლისის ბრძანებულება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საშენ მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველოს საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ".

2. შეტანილ იქნას სათანადო დამატება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50 და 55 მუხლებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. სტურუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი
1946 წ. 8 აგვისტო. ქ. თბილისი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის საქმეთა სამმართველოს საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1946 წლის 24 აპრილის ბრძანებულება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის საქმეთა სამმართველოს საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ".

2. შეტანილ იქნას სათანადო დამატება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50 და 55 მუხლებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. სტურუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი
1946 წ. 8 აგვისტო. ქ. თბილისი.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 28 მაისის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. სტურუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი
1946 წ. 8 აგვისტო. ქ. თბილისი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებისა და საქართველოს სსრ მინისტრების შემადგენლობის ცვლილებების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, რომლებითაც განთავისუფლებული არიან:

ხოშტარია სიმონ გიორგის-ძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა და მიწათმოქმედების მინისტრის მოვალეობისაგან მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

კოჩლამაზაშვილი იოსებ დიმიტრის-ძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან მისი საქართველოს სსრ მეცხოველეობის მინისტრად დანიშვნის გამო.

2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, რომლებითაც დანიშნული არიან:

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების მინისტრად—კვირკველია რაფიელ არტემის-ძე.

საქართველოს სსრ მეცხოველეობის მინისტრად—კოჩლამაზაშვილი იოსებ დიმიტრის-ძე.

საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების მინისტრად—ალავიძე გიორგი არტემის-ძე.

საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრად—ჩუბინიძე მიხო დიმიტრის-ძე.

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრად—ანანიაშვილი გიორგი დავითის-ძე.

საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის მინისტრად—მაჭავარიანი ვლადიმერ გიორგის-ძე.

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრად—პაატაშვილი ვახტანგ ალექსანდრის-ძე.

სსრკ ლამზადებათა სამინისტროს რწმუნებულად საქართველოს სსრ-ში ხანთაძე დავით გიორგის-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. სტურუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი
1946 წ. 8 აგვისტო. ქ. თბილისი.

კამათი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946—1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ მოხსენების გამო

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრის ამხ. გ. დ. ანანიაშვილის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! თქვენთვის დასამტკიცებლად წარმოდგენილი საქართველოს სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიური და კულტურული ზრდის გაშლილი პროგრამაა.

დიდი სტალინის ისტორიულ მითითებათა და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის კანონის საფუძველზე შედგენილ ჩვენი რესპუბლიკის გეგმას დიდი აღფრთოვანებით შეხვდებიან საქართველოს მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია.

ახალი ხუთწლიანი გეგმით დიდი სამუშაოებია დასახული საქართველოს ქალაქებისა და სარაიონო ცენტრების კომუნალური და საბინაო მშენებლობის დარგში. აიგება და ექსპლოატაციაში შევა 732.000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, მათ შორის ადგილობრივი საბჭოების ხაზით — 35.400 კვადრატული მეტრი. ახალი საცხოვრებელი სახლების აგებასთან ერთად შეკეთდება ომის პერიოდში დაზიანებული კომუნალური საცხოვრებელი ფონდი.

ჩვენ მოვალენი ვართ საბინაო ფონდის მოვლისა და აღდგენის საქმეში უშუალოდ ჩავაბათ მობინადრენი და განსაკუთრებით გამოვიყენოთ სპეციალისტები. ამის გამოცდილება თბილისში უკვე გვაქვს.

საქართველოს კომუნალური მეურნეობის სამინისტროს და გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომს მეოთხე ხუთწლედში დაკისრებული აქვთ მეტად საპატიო, მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა: 1946-1947 წლების მანძილზე ძირითადად უნდა დავამთავროთ კეთილმოწყობა იმ სახელოვანი ისტორიული ქალაქისა, სადაც დაიბადა ჩვენი დროის უდიდესი ადამიანი, ბრძენი ბელადი და მასწავლებელი.

მთელი ჩვენი ძალების დაუზოგავად ვეცდებით, რათა ღირსეულად შევასრულოთ ეს საპატიო დავალება.

ამხანაგო დეპუტატებო! ახალ ხუთწლედში აშენდება და ამუშავდება მთელი რიგი ახალი წყალსადენები. მათ შორის: ბულაჩაურის წყალსადენი 138.000 კუბური მეტრი სადღეღამისო სიმძლავრისა, რომელიც ანკარა სამეურნეო და სასმელი წყლით მომარაგებს როგორც ქალაქ თბილისს, ისე ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანას; ქუთაისის ახალი წყალსადენი 28.000 კუბური მეტრი სადღეღამისო სიმძლავრისა—მომარაგებს არა მარტო ქალაქ ქუთაისს, არამედ კურორტ წყალტუბოსა და საავტომობილო ქარხანას; სოხუმის ახალი წყალსადენი 9.500 კუბური მეტრი პირველი რიგის სიმძლავრისა, რომელსაც ეკისრება საკავშირო მნიშვნელობის კურორტ სოხუმის სუფთა და ჰიგიენური წყლით მომარაგება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია ახალი წყალსადენების აგება: ზუგდიდში, თელავში, სამტრედიაში, ახალციხეში, ასპინძაში, ახმეტაში, კაჭრეთში, ჩოხატაურში, ქარელსა და წითელწყაროში.

ჩატარდება არსებული წყალსადენების რეკონსტრუქცია მათი სიმძლავრის გადიდებით ქალაქ თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, გორში.

ახალი წყალსადენების მშენებლობისა და არსებული სისტემების რეკონსტრუქციის შედეგად წყლის საშუალო სადღეღამისო მიწოდება 1945 წლის 177.000 კუბური მეტრიდან 260.000 კუბმეტრამდე გაიზრდება 1950 წელს.

მეოთხე ხუთწლედში ამოქმედდება ქალაქ ფოთის კანალიზაცია, ხოლო ქალაქ თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმსა და გორში გათვალისწინებულია საკანალიზაციო ქსელისა და გამყვანი კოლექტორების გაფართოება.

ჩვენი ქალაქებისა და სარაიონო ცენტრების აბანოების რეკონსტრუქციაზე ხუთწლიანი გეგმით მნიშვნელოვანი დაბანდებანია გათვალისწინებული. 1950 წელს გვექნება 88 კომუნალური აბანო 2.940 კაცის გამტარუნარიანობით, ნაცვლად 1945 წლის 2.350-სა. აბანოების შეუფერხებელი მუშაობის პირობებში მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნება ამ ფრიად მნიშვნელოვანი სანიტარულ-ჰიგიენური მომსახურებით.

მნიშვნელოვანი სამუშაოების შესრულება მოგვიწევს კომუნალური ელექტრომეურნეობის დარგშიც.

საქართველოს ყველა ქალაქსა და რაიონულ ცენტრში მაქსიმალურად უნდა იქნას დაკმაყოფილებული მოსახლეობის კომუნალური და საყოფაცხოვრებო მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე. ახლა კი ამ მიმართულებით სერიოზული ნაკლოვანებები გვაქვს. შეზღუდულია ქვესადგურების, სატრანსფორმატორო სიმძლავრეთა, მაღალი და დაბალი ძაბვის ქსელების გამტარუნარიანობა, რის გამო, წყალდიდობის პერიოდში ჩვენი მდინარეების ჭარბი ენერგიის პირობებშიაც კი, არ შეგვიძლია მთლიანად დავაკმაყოფილოთ ქალაქების მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება.

ამიტომ მეოთხე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს: ქალაქ თბილისში მაღალი და დაბალი ძაბვის ქსელების გამტარუნარიანობის გაზრდას 30 პროცენტით, ე. ი. აიგება 60-ზე მეტი ახალი სატრანსფორმატორო კიოსკი, გაყვანილ იქნება 70 კილომეტრამდე მაღალი და დაბალი ძაბვის საკაბელო და საჰაერო ქსელი.

საგრძნობლად გაფართოვდება ელექტროქსელი თავისი დანადგარებით ქუთაისში, ბათუმში, გორში და სხვაგან.

1950 წლისათვის ელექტროენერგიის მიწოდება კომუნალურ ქსელში 390 მილიონ კილოვატსაათს მიაღწევს, ნაცვლად 1945 წლის 200 მილიონი კილოვატსაათისა.

მეოთხე ხუთწლედის დამლევს კეთილმოწყობილი ქუჩები 16.800.000 კვადრატულ მეტრს მიაღწევს, ე. ი. 1945 წელთან შედარებით გაიზრდება 1.072.000 კვადრატული მეტრით. ხუთი წლის განმავლობაში მოკირწყლდება 1.724.000 კვადრატული მეტრი ქუჩები, მათ შორის 835.000 კვადრატული მეტრი ასფალტბეტონით. ამ სამუშაოებზე მარტო კაპიტალურ დაბანდებათა ხაზით დაიხარჯება 40 მილიონ მანეთზე მეტი.

დიდი ყურადღება ეთმობა ქალაქების გამწვანებას.

1945 წლისათვის საერთო სარგებლობის მწვანე მასივები და ნარგავები 2.152,4 ჰექტარზე გვქონდა. ახალ ხუთწლედში ეს ფართობი გაიზრდება 600 ჰექტარით.

ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია მეხუთე რიგის მშენებლობა სტალინის სახელობის იმ სანაპიროს გასაგრძელებლად, რომელიც ამჟამად ქალაქს ამშვენებს და თბილისელთა საყვარელი დასასვენებელი ადგილია.

ქალაქების წყალდიდობისაგან დაცვის სამუშაოები განხორციელდება ქალაქ ბათუმში, სოხუმში, გორში, თელავში, ონში, ოჩამჩირესა და მთელ რიგ სხვა რაიონულ ცენტრებში.

მეოთხე ხუთწლედში კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ უნდა გადასჭრას ჩვენი ქალაქების დაგეგმვის რთული პრობლემები. ამ მიმართულებით სათანადო საკვლევაძიებო სამუშაოები ჩატარდება.

არანაკლებ საპასუხისმგებლო ამოცანები დგას კომუნალური მეურნეობის მუშაკთა წინაშე მშენებლობის დარგში. სამუშაოთა ნაკადური სისტემის შემოღება, სამშენებლო სამუშაოების მაქსიმალური მექანიზაცია, სამშენებლო პროცესების მკაცრი გეგმიანობა და თანამიმდევრობა—აი რას უნდა მივაღწიოთ ჩვენ.

არ შემიძლია თვითკრიტიკის წესით არ აღვნიშნო, რომ ჯერჯერობით საგრძნობლად ჩამოვრჩებით ჩვენთვის სავალდებულო ტემპს. ამიტომ არის, რომ მიმდინარე წლის პირველი ნახევრის მშენებლობის გეგმა რესპუბლიკის მასშტაბით დაბალი მაჩვენებლებით დავამთავრეთ. კაპიტალური მშენებლობის გეგმა წლის პირველ ნახევარში შესრულებულია მხოლოდ 66,4 პროცენტით. ეს ჩამორჩენა წლის მეორე ნახევარში უნდა გამოვასწოროთ.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს კომუნალური მეურნეობის მუშაკები, რომლებიც აღფრთოვანებული არიან მეოთხე სტალინური ხუთწლედის სიდიადით, ენერგიულად იბრძოლებენ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ახალი ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის, რათა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის და პირადად კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და მისი თავმჯდომარის ვალერიან მინაძე-ძე ბაქრაძის ნდობა სავსებით გავამართლონ.

ჩვენ თავდადებით ვიბრძოლებთ ხუთწლიანი გეგმის ბრწყინვალედ შესრულებისათვის, რათა დავიმსახუროთ ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას მაღალი შეფასება.

შევიტანთ ჩვენს წვლილს სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის იმ გრანდიოზული გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლაში, რომელიც დაგვისახა დიდმა სტალინმა (**ტაში**).

დეპუტატ ი. ზ. მონიავას სიტყვა

(ჩუბურხინჯის ოლქი, აფხაზეთის ასსრ)

ამხანაგო დეპუტატებო! დიდმა სტალინმა თავის ისტორიულ გამოსვლაში ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე დასახა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარების გრანდიოზული ამოცანები. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული ხუთწლიანი გეგმის კანონი დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის ძლევამოსილი წინსვლის პროგრამას წარმოადგენს.

ამ დიადი პროგრამის შესაბამისად შედგენილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის კანონი, რომლის პროექტიც წარმოდგენილია სესიის განსახილველად, უზრუნველჰყოფს ჩვენი რესპუბლიკის მეურნეობისა და კულტურის ახალ მძლავრ აღმავლობას.

კაპიტალური დაბანდებანი რესპუბლიკის კავშირგაბმულობაში საკავშირო ბიუჯეტით გათვალისწინებულია 21 მილიონ 687 ათასი მანეთი, ადგილობრივი ბიუჯეტით კი — 5 მილიონ 500 ათასი მანეთი.

საკავშირო ბიუჯეტით საქალაქო ტელეფონების ქსელის მშენებლობისათვის გამოყოფილია 2 მილიონ 896 ათასი მანეთი.

უკვე მიმდინარე წელს ჩატარდება თბილისის ავტომატური ტელეფონის ქსელის გაფართოების სამუშაოები. გორში, გაგრაში, ბორჯომში, წყალტუბოში მოეწყობა ავტომატური ტელეფონის ქსელი. ქუთაისში შეიცვლება ავტომატური ტელეფონის მოძველებული სადგური. ახმეტის, კაჭრეთის, დრანდისა და კვეზანის ახალი სატელეფონო სადგურების მოსაწყობად, ხობის, საჩხერის, ქარელის, წითელწყაროს, ჭიათურის, ფოთის, მახარაძის, ზესტაფონისა და გალის არსებული რაიონული ტელეფონის ქსელის გაფართოებისა და რეკონსტრუქციისათვის გათვალისწინებულია 500.000 მანეთი.

გარდა ამისა, თბილისში დამატებით დაიდგმება 2 ავტომატური სადგური 550 ნომრის ტევადობით.

იწარმოებს ქალაქისა და რაიონის ცენტრების სატელეფონო ქსელის გაუმჯობესება. სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია მომავალ 1947 წელს „აბ" სისტემის ტელეფონის სადგურების გადაყვანა „ცბ" სისტემაზე შემდეგ რაიონებში: ჩოხატაურში, წულუკიძეში, სიღნაღში, გურჯაანში, მცხეთასა და კურორტ ტებერდაში. განხორციელდება მთელი რიგი სხვა ღონისძიებანი ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში ტელეფონის ქსელის გასაუმჯობესებლად.

შიდარესპუბლიკური საქალაქთაშორისო სატელეფონო-სატელეგრაფო სადგურების მშენებლობისათვის 1946-47 წლებში გათვალისწინებულია 3 მილიონ 118 ათასი მანეთი. დასახულია: თბილის-ძაუ-ჯიკაუს შორის ორი ხაზის გაყვანა ფერადი ლითონით; თბილის-მოსკოვს შორის მეორე სატელეფონო-სატელეგრაფო მრავალარხიანი ჯაჭვის შესაქმნელად ახალი 12-არხიანი აპარატურის დადგმა, რაც საშუალებას იძლევა ერთსა და იმავე დროს დამატებით მოეწყოს მოსკოვ-თბილისს შორის 12 სატელეფონო და 18 სატელეგრაფო კავშირი. ამ მუშაობის შესრულების შემდეგ თბილის-მოსკოვს შორის უზრუნველყოფილ იქნება მუდმივი სადღეღამისო კავშირი და ბილდაპარატის ამუშავება ფოტოდეპეშების გადასაცემად.

ტელეგრაფის პირდაპირი კავშირი დამატებით გაიხსნება სტ (35) აპარატით: თბილისი-კიევი, თბილისი-კუიბიშევი, თბილისი-ლენინგრადი, თბილისი-ტაშკენტი.

თბილისის, ქუთაისის, სამტრედიის, სოხუმის, გაგრის, სოჭის არსებული საქალაქთაშორისო ტელეფონების კავშირის განმტკიცების, მისი გაუმჯობესების მიზნით უკვე დადგმული და მოწყობილია ახალი მაღალი სიხშირის აპარატურა, ეგრეთწოდებული მკ-ზ. ამ დღეებში მოხდება აღნიშნული ახალი აპარატის ექსპლოატაციაში გაშვება, რის შედეგად მივიღებთ ორ დამატებით სატელეფონო არხს დასავლეთ საქართველოს რაიონებთან დასაკავშირებლად.

თბილის-სამტრედიას შორის მიმდინარე წელს გაიბმება აგრეთვე ორი ხაზი ფერადი ლითონისაგან, რაზედაც მოეწყობა 9 სატელეფონო და ერთი სატელეგრაფო არხი.

სოხუმ-ქლუხორის პირდაპირი სატელეფონო ხაზის მშენებლობა წელს დამთავრდება, თუმცა მისი ექსპლოატაცია გაძნელდება ქლუხორის უღელტეხილზე მძიმე მეტეოროლოგიური და გეოგრაფიული პირობების გამო.

მოეწყობა საქალაქთაშორისო ხაზის კაბელირება თბილის-ნავთლუღს შორის.

ამგვარად, საქალაქთაშორისო სატელეფონო-სატელეგრაფო კავშირის მშენებლობის შედეგად 1946-47 წლებში გაყვანილ იქნება 215 კილომეტრზე საჰაერო ხაზი, მოხდება კაბელირება 55 კილომეტრზე, გაიბმება 430 კილომეტრი რკინის მავთული, 570 კილომეტრი ფერადი ლითონების მავთული, გატარდება სხვა ღონისძიებანი საქალაქთაშორისო ტელეფონ-ტელეგრაფის სადგურების გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის.

რადიოკავშირის მშენებლობისა და განვითარების დარგში გათვალისწინებულია 4 მილიონ 300 ათასი მანეთი, აქედან მიმდინარე წელს ერთი მილიონ 600 ათასი მანეთი. მოეწყობა მიმღები რადიოცენტრი, რისთვისაც გათვალისწინებულია 3 მილიონი მანეთი. გაყვანილ იქნება 44 კილომეტრი მრავალწყვილიანი რადიოკაბელი. მოეწყობა ერთი მოკლეტალღიანი 50 კილოვატისა და ერთი გრძელტალღიანი 40 კილოვატის გადამცემი რადიოსადგური თბილისში. შინარესპუბლიკური რადიოკავშირის მოწყობისა და განვითარებისათვის გატარდება სპეციალური ღონისძიებანი, რომლებიც უმავთულო კავშირით უზრუნველჰყოფენ მთაგორიან რაიონებსა და სამრეწველო ცენტრებს.

გეგმით გათვალისწინებულია 27 რადიოკვანძის რეკონსტრუქცია, რის შედეგადაც რადიოკვანძების სიმძლავრე გაიზრდება 14 ათასი ვატით და 1950 წლის 1 იანვრისათვის შეადგენს 34.915 ვატს, ნაცვლად 12.472 ვატისა 1941 წელს. რადიოწერტების რაოდენობა გაიზრდება 35 ათასი ერთეულით.

1950 წელს რადიოწერტების რაოდენობა მიაღწევს 100.600 ერთეულს, ნაცვლად 1941 წლის 46.650 ერთეულისა.

სოფლის საბჭოებისა და საბჭოთა მეურნეობების მთლიანი ტელეფონიზაციისათვის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებულია 2 მილიონ 800 ათასი მანეთი.

მიმდინარე 1946 წელს კავშირგაბმულობის საშუალებათა განვითარებისათვის საქართველოში გეგმით გათვალისწინებულია საკმაოდ დიდი კაპიტალური დაბანდებანი — 8 მილიონ 260 ათასი მანეთი. კავშირგაბმულობის მუშაკებს მოუხდებათ უფრო მეტი ორგანიზებული და ენერგიული მუშაობა, რათა ეს გეგმა წარმატებით იქნას შესრულებული.

ამხანაგო დეპუტატებო!

საბჭოთა ხალხს დიდი სამუშაო აქვს შესასრულებელი ხუთწლიანი გეგმის განსახორციელებლად. მაგრამ არავის ეჭვი არ ეპარება, რომ საბჭოთა გმირი ხალხი, რომელმაც დიდი სტალინის ხელმძღვანელობით დაამარცხა ვერაგი მტერი და კაცობრიობა იხსნა გერმანელი ფაშისტი ბარბაროსებისაგან, ხუთწლიან გეგმას არა თუ მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც განახორციელებს.

ლენინ-სტალინის პარტიის, დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით, ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ ლავრენტი ბერიას დახმარებით, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობით, ჩვენი რესპუბლიკა ძლევამოსილად გასწევს წინ ახალი გამარჯვებებისაკენ.

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ მასწავლებელს და აღმზრდელს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას!**

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას!

გაუმარჯოს დიდ **სტალინს! (მქუხარე ტაში).**

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის ამხ. ვ. დ. კუპრაძის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! მეოთხე სტალინურ ხუთწლედში სახალხო განათლების ორგანოების წინაშე სერიოზული ამოცანები დგას. უნდა განმტკიცდეს არსებული სკოლების მატერიალური ბაზა, გაფართოვდეს და უკეთესად მოეწყოს სასკოლო ქსელი, ყველა სკოლასა და ყველა საგანში გვყავდეს მხოლოდ მაღალი კვალიფიკაციის პედაგოგიური კადრები, ჭარბად გვქონდეს სტაბილური სახელმძღვანელოები, აგრეთვე სხვა საჭირო სასწავლო ნივთები და მასალები.

მეოთხე ხუთწლედის ბოლოს საქართველოში 4.333 დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლა გვექნება, რომლებშიც ისწავლის 923.473 მოსწავლე, ნაცვლად ამჟამად არსებული 4.127 სკოლისა, სადაც 584.851 მოსწავლეა.

ხუთწლედის მანძილზე ზოგადი განათლების საშუალო სკოლას დაამთავრებს 76.566 მოსწავლე.

ამას გარდა, სოფლის ახალგაზრდობის სკოლებს დაამთავრებს 14.636 მოსწავლე, მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლებს—5.288.

ხუთწლედის მანძილზე მარტო განათლების სამინისტროს უწყების უმაღლეს სასწავლებლებში მიღებული იქნება 16.830 სტუდენტი და ამავე უწყების უმაღლესი სასწავლებ-

(დასასრული მე-3 გვერდზე)

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს X სესია

კამათი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ მოხსენების გამო

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის ამხ. ვ. დ. კუპრაძის სიტყვა

(დასასრული)

ლები მოგვცემენ 11.634 სპეციალისტს.

საშუალო პედაგოგიური სასწავლებლები მოამზადებენ 5.670 მასწავლებელს.

ამჟამად საქართველოს დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლებში მუშაობს 34.747 მასწავლებელი. ხუთწლედის დამლევს კი იმუშავებს 41.733.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს 218 ახალი სასკოლო შენობის აგებას, უნივერსიტეტის ახალი კორპუსების მშენებლობის დამთავრებას; აიგება უცხო ენათა ინსტიტუტის შენობა თბილისში. აშენდება პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დიდი შენობა და სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლი.

მეოთხე ხუთწლედში სახალხო განათლების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარება სოფლად რვაწლიანი და ქალაქად საშუალო სკოლის ფარგლებში.

საშუალო სკოლის შემდგომი განმტკიცების, მისი მუშაობის შინაარსისა და ფორმების შემდგომი გაუმჯობესების ამოცანა ჩვენი სახალხო განათლების ძირითადი საზრუნავი საგანია მეოთხე ხუთწლედში. ამასთან დაკავშირებით, ფრიად დიდი მნიშვნელობის რეფორმას წარმოადგენს საქართველოს სკოლებში სწავლების ხანგრძლივობის ერთი წლით გადიდება.

ეს რეფორმა საშუალებას გვაძლევს შედარებით მოკლე ვადაში გადავწყვიტოთ ჩვენი სასკოლო მუშაობის რამდენიმე მტკივნეული საკითხი.

უკვე მიმდინარე სასწავლო წელს, ახალი ხუთწლედის პირველ წელს, ჩვენს სკოლებს სწავლა-აღზრდის გაუმჯობესების საქმეში სერიოზული წარმატებანი აქვთ მოპოვებული. საგრძნობლად ამაღლდა მასწავლებელთა პასუხისმგებლობა სწავლების ხარისხის გაუმჯობესების საქმეში, გაძლიერდა მოსწავლეთა ინტერესი სწავლისადმი საზოგადოდ, ცალკეული სასწავლო დისციპლინების ღრმად დაუფლებისადმი, კერძოდ, გამოცდებზე მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა მომზადებული გამოცხადდა, საფუძვლიანი ცოდნის მრავალი ნიმუშები მოგვცა და მაღალი ნიჭიერების მრავალრიცხოვანი სასიხარულო მაგალითები გვიჩვენა.

განმტკიცდა დისციპლინა. მოსწავლეები მოკრძალებით და პატივისცემით მიმართავენ მასწავლებელს, თავაზიანად ეპყრობიან მოხუცებს და ბავშვებს, უვლიან სასკოლო ქონებას, ფაქიზად ინახავენ სასწავლო ნივთებს, იცავენ ჰიგიენის ნორმებს.

მეოთხე ხუთწლედის პირველ წელს ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა ფრიად სერიოზული ნაბიჯი გადაგვედგა წინ სკოლების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის საქმეში. წელს სკოლებს მიეცემა 96 სახელწოდების ორნახევარმილიონამდე სახელმძღვანელო, რაც შარშანდელს ოთხჯერ აღემატება. ეს მუშაობა გაგრძელდება ენერგიულად, მზარდი ტემპებით, და მეოთხე ხუთწლედის მანძილზე ჩვენ შევქმნით არა მარტო სასწავლო სახელმძღვანელოებს, არამედ დამხმარე წიგნების სრულ სიუხვეს.

მნიშვნელოვანი საქმე, რომელიც მეოთხე ხუთწლედში უნდა მოვაგვაროთ, არის სკოლების გამდიდრება სასწავლო კაბინეტებითა და ლაბორატორიული მოწყობილობით. ვერავინ დაიწყებს კამათს, რომ ძნელია გეოგრაფიის სწავლა რუკების უქონლად, არითმეტიკისა — ტაბულების, ენისა — ორთოგრაფიული ცხრილების, გეომეტრიისა — კონური კვეთის და სხვა ფიგურების უქონლად, ქიმიისა და ფიზიკის — ექსპერიმენტის დაუყენებლად, ბუნებისმეტყველებისა — ფაუნისა და ფლორის კონკრეტული ნიმუშების უდემონსტრაციოდ. ყველა ეს ნივთი, რაც სწავლების თვალსაჩინოებას ემსახურება, სკოლას დიდი რაოდენობით სჭირდება. დღემდე მათი წარმოება რესპუბლიკაში არ გვქონია. ახლა საფუძველი ჩაეყარა სასკოლო ნივთებისა და ხელსაწყოების სპეციალურ ქარხანას, რომელიც ხუთწლედის პირველ წლებში სკოლებს მისცემს საჭირო ხელსაწყოების ნაწილს.

ჩვენს სკოლებს დიდი რაოდენობით სჭირდება სათანადო ავეჯი — მერხები, დაფები, კარადები. ნორმალურ პირობებში, მარტო მასობრივი სკოლებისათვის გვჭირდება ერთდროულად 300 ათასზე მეტი მერხი, 35.000-მდე დაფა, 40-50 ათასამდე კარადა.

სასკოლო ავეჯის შესაძენად და შესაკეთებლად სახელმწიფო ბიუჯეტით ყოველწლიურად დიდი თანხები იხარჯება. ეს თანხები ჯერ კიდევ არ არის ეფექტურად და სათანადო მომჭირნეობით გამოყენებული. დამზადებული ავეჯის ხარისხი ხშირად დაბალია, არ შეესაბამება სასკოლო ჰიგიენის მოთხოვნილებებს და მალე გამოდის მწყობრიდან.

ჩვენი სკოლების მოთხოვნილება ავეჯზე იმდენად დიდია, რომ საქართველოში საჭიროა 5-6 სასკოლო ავეჯის ქარხანა.

ვთხოვ სესიას ხუთწლიან გეგმაში გაითვალისწინოს სასკოლო ავეჯის ქარხნების მშენებლობა.

მეოთხე სტალინურ ხუთწლედში ჩვენ ძირითადად უნდა გადავწყვიტოთ კვალიფიციური პედაგოგიური კადრების საკითხი.

ცნობილია, რომ სკოლები ჯერ კიდევ უზრუნველყოფილი არ არიან ასეთი კადრებით. ამასთან დაკავშირებით მეოთხე ხუთწლედის პირველხარისხოვან სახელმწიფოებრივ ამოცანად არის მიჩნეული მასწავლებელთა მომზადების არსებითად გაუმჯობესება და იმ სერიოზულ ნაკლოვანებათა დაძლევა, რომელთაც ადგილი აქვთ უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების მუშაობაში. მაღალ სამეცნიერო-მეთოდურ დონეზე უნდა ავიყვანოთ ამ სასწავლებლებში მთელი სასწავლო მუშაობა, ლექციური და პრაქტიკული მეცადინეობა, მოვსპოთ ლიბერალიზმის გადმონაშთები ცოდნის შეფასებაში, დავამყაროთ სისტემატური და გეგმიანი მუშაობის რეჟიმი. ამასთან სასწავლო გეგმები იმგვარად უნდა გადავამუშაოთ, რომ უზრუნველჰყონ საბჭოთა მოსწავლეების შესაფერი მეთოდური და პედაგოგიური მომზადება.

მეოთხე ხუთწლედში ჩვენს წინაშე დგას აგრეთვე საკითხი სკოლის დირექტორისა და სასწავლო ნაწილის გამგის პროფილის შესახებ. ამ პოსტებზე მხოლოდ ისეთი პედაგოგები იქნებიან დანიშნულნი, რომელთაც სათანადო გამოცდილება და ორგანიზაციული უნარი აქვთ, ამასთან ისეთი განათლება, რომ შესძლონ პირადი, კომპეტენტური კონტროლი გაუწიონ თავის სკოლაში ყველა ძირითადი საგნის სწავლების მდგომარეობას.

საბჭოთა სკოლაში განათლების შინაარსი არ ამოიწურება მოსწავლის მარტო გონებრივი განვითარების ამოცანებით. განათლება გულისხმობს აგრეთვე ადამიანის აღზრდის ამოცანებს მთლიანად. ცოდნის შეძენის გზა სკოლაში არ წარმოადგენს მხოლოდ გონების განვითარების გზას. გონების განვითარებას ჩვენს სკოლაში თან ახლავს ნებისყოფის გამომუშავება, სოციალისტური სამშობლოსადმი უანგარო ერთგულების შეგნების აღზრდა, მგზნებარე ენთუზიაზმისა და ლენინ-სტალინის საქმისადმი მაღალი რწმენის განმტკიცება. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სკოლაში სწავლა და აღზრდა ერთი მთლიანი პროცესის ორი მხარე იყოს.

მოზარდი თაობის ყოველმხრივი განვითარება მოითხოვს არა მარტო მეცნიერებათა საფუძვლებით შეიარაღებას, არა მარტო ზნეობრივ, ფიზიკურ და ესთეტიკურ აღზრდას, არამედ აგრეთვე ცხოვრებისათვის მომზადებას. სკოლაში მოსწავლემ განსაზღვრული პრაქტიკული ჩვევებიც უნდა მიიღოს, სკოლამ მის აღზრდილს უნდა მისცეს არა მარტო ზოგადი, საერთო, არამედ პოლიტექნიკური განათლებაც.

მხატვრულ აღზრდას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ბავშვის პიროვნების განვითარებისათვის, ინიციატივისა და შემოქმედებითი ნიჭის გაშლისათვის. მხატვრული აღზრდა ხელს უწყობს ბუნების შესწავლას, მის ღრმა შეცნობას, წარმტაცი ფერებისა და სამკაულების გრძნობის გამახვილებას, მდიდარი შემოქმედებითი ემოციების აღძვრას.

სკოლებში შეგნებული დისციპლინის დანერგვას, ორგანიზებულობას, მოსწავლეთა ქცევის მოწესრიგებას, მოსწავლეებში თავაზიანობის, სიფაქიზისა და ჰიგიენური ჩვევების გამომუშავებას დიდად უწყობს ხელს მოსწავლეთა გარეგნობა-ჩაცმულობა.

საკითხი ისმის ჩვენს სკოლებში, პირველ რიგში დიდ ქალაქებში, მოსწავლეთა ფორმის შემოღების შესახებ.

სკოლა საყოველთაო-სახალხო საქმეა. მისი წარმატების სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვენ არა მარტო განათლების ორგანოებისა და მასწავლებლობის მთელი ძალების მობილიზაციას, არამედ პირველ რიგში ადგილობრივი ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების შეუსუსტებელ ყურადღებასა და დახმარებას.

მუდამ თვალწინ უნდა გვედგას სკოლისათვის ამხანაგ ლ. პ. ბერიას მუშაობისა და ზრუნვის მაგალითი, მუდამ მხედველობაში უნდა გვქონდეს ის ჭეშმარიტად სამაგალითო, ყოველდღიური ზრუნვა, ყურადღება და დახმარება, რომელსაც სახალხო განათლების საქმეს უწევენ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს მთავრობა.

არ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ღირსეულად განახორციელებენ მეოთხე ხუთწლედში პარტიისა და ხელისუფლების ყველა გადაწყვეტილებას სკოლის შესახებ.

საქართველოს მასწავლებლობა, სახალხო განათლების მუშაკთა მრავალრიცხოვანი არმია გაააორკეცებს თავის ენერგიას მეოთხე ხუთწლედში, დაუღალავად განაგრძობს მუშაობას, რადგან კარგად ესმის, რომ სახელმწიფომ ანდო მას იმის მოვლა-აღზრდა, რაც ყველაზე ძვირფასია, ყველაზე საყვარელი და სანუკვარია ერისათვის, — მისი ახალგაზრდა თაობა. ამ მაღალი შეგნებით განაგრძობენ საქართველოს სკოლები მუშაობას მეოთხე სტალინურ ხუთწლედში, რათა აღზარდონ ჩვენი დიადი დროის ღირსეული თაობა, რომელიც განამტკიცებს ჩვენს გამარჯვებას, აღადგენს და გაზავითარებს სახალხო მეურნეობას, უზრუნველჰყოფს ჩვენი კულტურის, მეცნიერების შემდგომ განვითარებას, მაღლა ატარებს ლენინურ-სტალინურ დროშას.

გაუმარჯოს ქართველი ხალხის საამაყო შვილს ამხანაგ ლავრენტი **ბერიას!**

გაუმარჯოს ხალხთა დიდ ბელადს, მშობლიურ მამასა და მასწავლებელს გენერალისიმუს **სტალინს! (ტაში).**

დეპუტატ ი. ო. მოსაშვილის სიტყვა

(სიღნაღის ოლქი, სიღნაღის რაიონი)

ამხანაგო დეპუტატებო!

ხუთ წელს ვიომეთ, ჩაქუჩის ნაცვლად
ხელში ხმალი და თოფი გვეჭირა,
ხუთ წელს ჩაუმქრალ ცეცხლში ვიარეთ,
რომ ჩვენი კერა გადაგვერჩინა.
ხუთ წელს ხუთი ძმა შინ არ ყოფილა,
მუშა—მუშურად, გლეხი—გლეხურად,—
მათ ქვეშ ნელთბილი ნაცარი ეგოთ
და ტანზე ცხელი კვამლი ეხურათ;
მათ ფიცი ჰქონდათ, სამშობლოს ფიცი
გულის ფიცარზე ეწერათ რკულად,—
რომ ჩვენს მიწაზე მოსული მტერი
მის ბუნაგშივე მოესპოთ სრულად.
ამ ფიცით შეხსნეს ბერლინის კარი,
ამ ფიცს აბობღნენ სიკვდილის დროსაც
და ძირს არ ხრიდნენ, მზესავით მაღალს,
მარად დაუხრელ სტალინის დროშას!
ხუთ წელს ვიომეთ, განა გვეწადა,—
განა შაშხანა გუთანს გვერჩია, —
განა მარჯვენა, ომში ნაცადი,
მადლიან შრომას გადაეჩვია!
ომში ვიყავით,—ნამგალს ვნატრობდით,
ტყვიას ვთვლიდით და,—გული გვტკიოდა,
რომ ჩვენს გალეწილ სისხლიან კალოს
ხორბლის მაგიერ ცეცხლი სცვიოდა!
და, აი—მორჩა ომი და სისხლი,
ბოლო მოეღო საქვეყნო დელგმას,
ხუთი წლის ცეცხლი ჩაჰქრა და ხუთწლედს
საძირკვლად ვუდგამთ სტალინურ გეგმას!
სტალინურ გეგმით შევმუსრეთ მტერი,
დღე ზვალინდელი მზესავით მოჩანს:
გამარჯვებულნი ხუთი წლის თავზეც
კრემლში მივიტანთ სტალინურ დროშას!
რამდენი კერა მოშალა მტერმა,
რამდენგან დადგა ხვავად ნაცარი,
რამდენი უნდა გავაღოთ კარი—
დაუქმებული ეხლა რაც არი!
რამდენი რკინა უნდა დავადნოთ,
რამდენი უნდა დავდგათ კედელი,
რომ დაუბრუნდეს მიწას ბარაქა,
დაზგას ოსტატი და გრდემლს მჭედელი!
დავდგამთ, სად თქმულა—სტალინის ხელმა
დაამყნოს ნერგი და არ ახაროს,—
რამდენიც გვითხრა,—იმდენ არხს გავხსნით,
იმდენ ბრძმედსა და იმდენ მაღაროს!
მის ყოველ სიტყვას ქვაში გამოვთლით,—
ფოლადად ვაქცევთ—რაც ერთხელ ითქვა:
ჩვენი ცხოვრების კანონი არის
ხალხის სიტყვა და სტალინის სიტყვა!
ქართველ კაცს ოფლით მოურწყავს მიწა,
ამ მიწას სისხლიც ბევრი სდენია,
კვლავაც სამშობლო ქვეყანას მისცემს,
მას ამ სიცოცხლით რაც დარჩენია.
სამშობლოსათვის ქართველმა დიდამ
ქვეყნის მოვალე ვაჟკაცი ზარდა,
ომში იომა და შინ მოსულსაც
სხვა გზა არა სწამს სამშობლოს გარდა!
და ახლა, როცა ხუთწლედის კედლებს
ქართლის მიწაზე დუღაბით ჰკირავს,
იცის,—რომ ბურჯი ბურჯს ემატება
თეთრი ზღვისა და შავი ზღვის პირას.
იცის,—ქვეყანა ამ გზამ დაიხსნა,
მიუვალ ციხედ ამ გზამ გახადა:
ის, რაც სტალინის თვალმა განსჭვრიტა!
ის, რაც სტალინის ხელმა დახატა!
აი სამგორი, ქართველს რამდენი
შრომა და გარჯა უქმად უქნია,
ივრისოდენა ოფლი შთაუნთქავს
და ოხვრის მეტი რა მოუცია!
ჰკიოდა ქარი, მიჰქონდა ქვიშა,
დამწვარი მიწა მიწას არ ჰგავდა
და ძირიანად სთხრიდა ნამქერი,
რასაც მზრუნველი ხელი დარგავდა.
წყალი სწყუროდა დასიცხულ ყამირს,
ამიტომ იყო დღე-მუდამ მწყრალი.
სტალინმა სთქვა—და სამგორის მიწამ
უნდა დღეიდან დალიოს წყალი!
დიდხანს უცდიდა რუსთავიც პატრონს,
იდგა მდუმარე თბილისის კართან,
მას არ უნახავს მოკეთის ხელი,
მტრის შემოსეულ ურდოებს გარდა.
არსაო უნახავს—რკინის წამალი
მიწიდან როგორ მოჟონავს მადნად,
მას ახსოვს მხოლოდ მტერთან ბრძოლაში
რამდენი გმირის მარჯვენა გადნა!
რადგან მტკვრის პირას ნამძარ ფოლადს
კვლავაც მოელის ფოლადთან ჟღერა,
სტალინმა სთქვა და,—ახალი რკინა
უნდა გაჰედოს ბელადის კერამ!
ჟანგმოუდებელ რუსთავის ფოლადს
რუსთველის ლექსი გაჰყვება მაყრად,
სადაც ქუთათურ ბაღნარში ხუთწლედს
მოაქვს დიდიხნის სახალხო ნატვრა:
მიდის ქართული ურემი ნელა,
ესაუბრება ურმული ნიავს,
მოჰქრის ქართული მანქანაც გზაზე
და ურმის ჩრდილი ქვეყნიდან მიაქვს,
მიაქვს, რაც დარდი უზიდავს სოფელს,
რა მძიმე ტვირთიც სწოლია გლეხკაცს,—
ნოვა, წაიღებს, თუ კიდევ სადმე,—
წარსულის ჟანგი გვატყვია ეხლაც!
აქედან ვხედავ ხუთწლედის ნაყოფს,
სართულად მოსულა ხუთი წლის შრომა,
გამრთელებულა ყველა ჭრილობა,
რაც მოგვაყენა მრისხანე ომმა.
აზრუნებულან ხრამის ბორბლები,
ველარ უძლებენ ტალღების ღელვას
და აგებებენ ფერად შუქურებს
ჩითახევიდან წამოსულ ელვას!
დაგუბებულა მტკვარიც დილომთან,
მესამედ სდგება ქვეყნის წინ მტკვარი,
რომ თბილისს,—ქართლის უტურფეს ქალაქს,
ირგვლივ გაუღოს სინათლის კარი;
რომ მყინვარებში ნაჟურმა წვეთმაც
არ ჩაუაროს ქართველ კაცს უქმად,—
და როგორც მტკვარმა იდინოს მარად,
მისთვის დიადმა სინათლის შუქმა!
ხედავთ?—ოქროში ცურავს კოლხიდა,
ეს რა ბრწყინვალე დილა ელირსა,
სტალინის მზეს და ბერიას ამაგს
უთხრას მადლობა ძველმა ეგრისმა!
უთხრას მადლობა ნარინჯის ხვავმა,
უთხრან დოვლათით სავსე ბაღებმა,
სხვას ვის შეეძლო ამ მადლის შოვნა
და ამ სამოთხის კარის გაღება!
მადლობა უთხრან კახეთის ზვრებმა,
პურით ავსილმა შირაქის მიწამ,
ყველგან სტალინის სიბრძნე ანათებს,
ყველგან ბერიას მარჯვენა ვიცან!
სდუღს ქართლის გული, დნება მადანი,
თითქო ათასი ცეცხლის მთა ბოლავს
და მალე ვნახავთ, კრემლში სტალინი
როგორ გასინჯავს რუსთავის ფოლადს!
აი ქართველო, შენი სამშობლო,
როცა დააწრთობ ხუთი წლის ამაგს,
მე მასზე ფიქრით ამ ქვეყნად ვცხოვრობ
და გულში როგორც ოცნება დამაქვს.
აი ქართლის გზა, ყველა ჩვენგანმა
დაუზარელად რაც უნდა კვალოს,
აიღოს რკინა,—დაადნოს რკინას,
აიღოს ქვა და ბროლივით თალოს!
ამ გზით მივდივართ, უნდა ავზიდოთ,
ამ გზის ყოველი ბჭე და კედელი,
წიგნი, აგური, კაცი და რკინა
ამ გზის რგოლია განუწყვეტელი.
განა სად თქმულა სტალინის ხელმა
დაამყნოს ნერგი და არ ახაროს!—
რამდენიც გვითხრა,—იმდენ არხს გავხსნით,
იმდენ ბრძმედსა და იმდენ მაღაროს!
მის ყოველ სიტყვას ქვაში გამოვთლით,
ფოლადად ვაქცევთ რაც ერთხელ ითქვა:
ჩვენთვის სიცოცხლის კანონი არის
ხალხის სიტყვა და სტალინის სიტყვა!
დიდება სტალინს!
ეს გზა მისია,—ხალხის დოვლათით
ადიდებული,
დიდება სტალინს!
ამ გზის სინათლე რა ბრწყინვალეა, რა
დიდებული!
ყრმობა, ციმბირი, შრომა და ბრძოლა,
ამ გზაზე ჩვენთვის გაძლო ხიდებად,—
დიდება სტალინს—ჩვენს სიამაყეს!
ხალხის საყვარელ სტალინს დიდება! **(მქუხარე ტაში).**

11 აგვისტოს ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა საფეხბურთო მატჩი „პარტიზანისა" (იუგოსლავია) და „დინამოს" (თბილისი) გუნდებს შორის.
სურათზე: „პარტიზანის" გუნდი. ფოტო ვლ. გინზბურგისა და რ. აკოფოვისა

საერთაშორისო მატჩი

„პარტიზანი" (იუგოსლავია) — „დინამო" (თბილისი)

თბილისელი მაყურებლები მოუთმენლად მოელოდნენ ამ თამაშს. გამოჩენილი იუგოსლავიის ფეხბურთელები კარგად არიან ცნობილი ცენტრალურ ევროპაში. „პარტიზანმა" ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვა შარშან და წელს საერთაშორისო მატჩებში. ეს კიდევ უფრო აძლიერებდა ინტერესს თბილისის „დინამოსა" და „პარტიზანის" შეხვედრისადმი.

„დინამოს" სტადიონი საზეიმოდ არის მორთული. ფრიალებენ იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის ალმები. ტრიბუნაზე გაკრულია იუგოსლავურ და ქართულ ენებზე დაწერილი პლაკატები. ამდენი მაყურებელი არასოდეს ყოფილა ჩვენს სტადიონზე.

მოახლოვდა 6 საათი. სავარჯიშოდ გამოსულ „პარტიზანის" მოთამაშეებს და თბილისის დინამოელებს მქუხარე ტაშით ესალმებიან მაყურებლები.

სახელმწიფო მსაჯი ნ. ლატიშევი (მოსკოვი) იძლევა ნიშანს. მოედანზე პირველნი გამოდიან სტუმრები. ყვავილების თაიგულებით ხელში ისინი გამწკრივდნენ მოედნის ცენტრში, ჯერ მიესალმნენ მაყურებლებს, შემდეგ გაიფანტნენ სათამაშო მოედანზე და ყვავილები გადმოჰყარეს ხალხში. განმეორებით ისმის სასტვენის ხმა. ბორის პაიჭაძეს გამოჰყავს დინამოელები. მას ფერადფერადი ყვავილების დიდი თაიგული მოაქვს, ასევე თვითეულ დინამოელს მოაქვს თაიგული სტუმრებისათვის გადასაცემად.

სტუმრებს მიესალმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ჩიკვაიძე. გულთბილი საპასუხო სიტყვით გამოვიდა „პარტიზანის" გუნდის ხელმძღვანელი პოდპოლკოვნიკი მირკო კალეზიჩი.

დაიწყო თამაში. სტუმრების კარში ჩადგა გუნდის მწრთვნელი ფრანიო გლაზერი. იგი 60-მდე საერთაშორისო მატჩის მონაწილეა. დაცვის ხაზზე გამწკრივდნენ ბროზოვიჩი, ჯურჯევიჩი და 23 წლის ხორვატი ზლატკო ჩაიკოვსკი. ეს უკანასკნელი მთელ იუგოსლავიაში ცნობილია, როგორც თავისებური სტილისა და მოუქანცავი მოთამაშე. თავდასხმის ხუთეულს ხელმძღვანელობს სტეფანე ბობეკი. მას მხარს უმშვენებენ სახელმოხვეჭილი გარემარბი ფლორიან მატეკალო, თავდამსხმელები მიტიჩი, რუპნიკი. ნახევარ დამცველი ალექსა ატანაცკოვიჩიც თავდამსხმელად თამაშობს დღეს.

თბილისელებმა დაცვაში კიკნაძის ნაცვლად გამოიყვანეს ახალგაზრდა ფეხბურთელი სარჯველაძე. მარცხენა გარემარბად თამაშობდა ლოლობერიძე. მთელი თამაშის მანძილზე აშკარად სჩანდა, რომ ლოლობერიძე „თავის ადგილზე" არ იყო. ასეთი ექსპერიმენტი გაუმართლებელია სერიოზული მატჩების დროს.

თამაშის პირველი წუთები აღინიშნა სტუმრების ენერგიული შეტევით. პირველი ხუთი წუთის განმავლობაში „პარტიზანმა" კუთხური დარტყმის უფლება მიიღო, თავდასხმის ცენტრს ბობეკს და განსაკუთრებით მოუსვენარ მატეკალოს ვერ გაუმკლავდნენ „დინამოს" დამცველები და იძულებული იყვნენ ბურთი ხაზს იქით გადაეგდოთ.

თანდათან ჯათანაბრდა თამაში. თბილისელები აჩერებენ სტუმრების საჯარიმო მოედანზე შეჭრას. ჯეჯელავამ ზუსტად მიაწოდა ბურთი პაიჭაძეს. „დინამოს" თავდასხმის ცენტრმა გაიტაცა ბურთი „პარტიზანის" კარისაკენ, გაუსხლტა დამცველებს და სულ რამდენიმე მეტრზე პირისპირ დარჩა გლაზერთან, მაგრამ პაიჭაძეს დაეწია მილივოი ჯურჯევიჩი და ხარმა გამოსდო. ლატიშევი ნიშნავს თერთმეტმეტრიან საჯარიმო დარტყმას სტუმრების კარში. ურტყამს პენალტის ოსტატი მ. ბერძენიშვილი. 1 : 0 თბილისელების სასარგებლოდ.

ამ მომენტიდან გავიდა სულ ორიოდე წუთი და „პარტიზანის" მოთამაშენი დასახლდნენ დინამოელთა საჯარიმო მოედანზე. ბობეკი, მატეკალო და მიტიჩი ზედიზედ ურტყამენ შორი მანძილიდან თბილისელთა კარში. ერთ-ერთი ასეთი დარტყმა დამთავრდა გოლით.

1 - 1. ასეთი ანგარიშით დამთავრდა თამაშის პირველი ნახევარი.

თამაშის მეორე ნახევარში აშკარა გახდა სტუმრების უპირატესობა. მეკარე გლაზერი მხოლოდ თამაშის დამთავრების ბოლო წუთებში შეეხო ბურთს. თამაშის განახლებიდან ხუთი წუთიც არ იყო გასული და სტუმრებმა კუთხური დარტყმით მიწოდებული ბურთი გახვიეს თბილისელთა კარის ბადეში.

„პარტიზანელებმა" მთელი თამაში ჩაატარეს ცხოვლად. თანაბარი სიძლიერით თამაშობდნენ როგორც დამცველები, ისე თავდამსხმელები. მაყურებელს ხიბლავდა მათი მოხდენილი თავური დარტყმები და ბურთის ზუსტად მიწოდება.

თბილისელმა მაყურებლებმა აღფრთოვანებული ოვაცია მოუწყვეს იუგოსლაველ ფეხბურთელებს, რომელთაც დამსახურებულად მოიგეს მატჩი ანგარიშით 2 : 1.

მარცვლეული კულტურების მოსავალი აღებულია 229.908 ჰექტარზე

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სამინისტროს ცნობებით, აგვისტოს მეორე ხუთდღიურში კოლმეურნეობებმა თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი აიღეს 27.950 ჰექტარზე. სულ 10 აგვისტოსათვის პურეული აღებულია 229.908 ჰექტარზე. წლიური გეგმა შესრულებულია 65,3 პროცენტით. კომბაინებით მოსავლის აღების გეგმა 82,1 პროცენტით შესრულდა.

აჭარის ასს რესპუბლიკაში მარცვლეულის აღების გეგმა შესრულებულია 74,8 პროცენტით, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში—34,6, ქუთაისის რაიონში—100,0, სამტრედიის—96,0, წულუკიძის—80,9, მაიაკოვსკის—99,2, ზესტაფონის—100,0, ჩხარის—100,0, ჭიათურის—89,6, საჩხერის — 86,5, ორჯონიკიძის — 100,0, ონის—27,3, ამბროლაურის—51,1, ცაგერის—92,7, ქვემო სვანეთის—15,3, ქლუხორის—26,3, ახალქალაქის—1,6, ახალციხის—89,3, ადიგენის — 29,5, ასპინძის—42,5, ხაშურის—93,0, ქარელის—83,9, გორის—80,4, კასპის—92,3, ბორჯომის—19,6, დუშეთის — 52,7, თეთრი წყაროს—65,1 გურჯაანის—100,0, კაჭრეთის—99,0, სიღნაღის—100,0, წითელწყაროს—100,0, თელავის—98,8, ახმეტის—89,7, ყვარლის—100,0, ლაგოდეხის—100,0, თბილისის—88,5, მცხეთის—93,8, ყარაიის —100,0, ბორჩალოს—95,9, ბოლნისის —100,0, საგარეჯოს—78,1, ბაშკიჩეთის—24,5 პროცენტით.

ჩაის ფოთლის დამზადება

(საქართველოს სსრ ჩაის ტრესტის 10 აგვისტოს ცნობებით)

რაიონები	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	აგვისტოს გეგმის შესრულება პროცენტობით	რაიონები	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	აგვისტოს გეგმის შესრულება პროცენტობით
ბათუმი	73,3	4,0	ქუთაისი	107,8	35,5
ქობულეთი	88,7	38,7	წყალტუბო	92,3	31,5
გალი	93,4	27,1	ტყიბული	79,4	38,4
ოჩამჩირე	94,2	25,1	ცხაკაია	86,3	40,3
გულრიფში	151,6	11,7	აბაშა	88,0	27,1
სოხუმი	150,0	100,0	გეგეჭკორი	82,1	15,4
გუდაუთი	88,6	27,7	ზუგდიდი	90,8	37,3
მახარაძე	88,6	38,1	წალენჯიხა	96,4	29,7
ჩოხატაური	94,0	33,4	ჩხოროწყუ	87,9	11,1
ლანჩხუთი	94,5	36,1	ხობი	86,3	4,8
სამტრედია	94,1	46,1	ჩხარი	98,7	21,4
წულუკიძე	108,1	44,0	ზესტაფონი	105,0	40,0

ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია 89,5 პროცენტით, აგვისტოსი—32,3 პროცენტით.

ბათუმის, ხობის, გეგეჭკორის, ჩხოროწყუსა და მახარაძის რაიონების ცნობები არასრულია.

პარიზის საზავო კონფერენციაზე

10 აგვისტოს დილის პლენარული სხდომა

პარიზი, 10 აგვისტო. (საკუთარი სპეც. კორ.). კონფერენციის დღევანდელი დილის პლენარულ სხდომაზე გრძელდებოდა იუგოსლავიის წინადადების განხილვა ალბანეთის სათათბირო ხმის უფლებით მოწვევის შესახებ.

პოლონეთის წარმომადგენელმა რჟიმოვსკიმ აღნიშნა ის მძიმე ზარალი, რაც ალბანეთს ომში მოუვიდა, და გმირული პარტიზანული ბრძოლა, რომელსაც ალბანელი ხალხი ფაშისტი ოკუპანტების წინააღმდეგ ეწეოდა. რჟიმოვსკიმ მოიხსენია საბერძნეთის წარმომადგენლის მტკიცება, რომელიც ცდილობს დაამციროს ალბანეთის პარტიზანული ბრძოლის მნიშვნელობა, და აღნიშნა, რომ სხვადასხვა ავტორიტეტები საერთაშორისო სამართლის დარგში არ განასხვავებდნენ პარტიზანებსა და რეგულარულ არმიას. წარსული ომის წლებში პარტიზანული მოძრაობა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ევროპის ოკუპირებული ქვეყნების განთავისუფლებაში. პოლონეთის დელეგაცია მხარს უჭერს იუგოსლავიის წინადადებას კონფერენციაზე ალბანეთის სათათბირო ხმით მოწვევის შესახებ.

დიდი ბრიტანეთის დელეგატმა ალექსანდერმა განაცხადა, რომ, მისი აზრით, პოლონეთისა და ალბანეთის პარტიზანულ მოძრაობას შორის დიდი განსხვავება არსებობს. ალექსანდერი შეუერთდა ბირნსის წინადადებას იმის შესახებ, რომ ალბანეთის მოწვევის საკითხი განსახილველად გადაეცეს კონფერენციის გენერალურ კომისიას.

საბერძნეთის წარმომადგენელმა ცალდარისმა გაიმეორა თავისი გუშინდელი თავდასხმები ალბანეთზე და განზრახ ამახინჯებდა ალბანელი ხალხის გმირული ბრძოლის საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს.

ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ალბანეთი განხილულ უნდა იქნას როგორც მოკავშირე სახელმწიფო. მან აღნიშნა, რომ არსებობს მრავალი უცილობელი დოკუმენტი, რომლებშიც ასახულია ალბანელ პარტიზანთა გმირული ბრძოლა. ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა იუგოსლავიის წინადადებაში დაზუსტება შეიტანა და წინადადება წამოაყენა, რომ ალბანეთი მოწვეულ იქნას გამოსთქვას თავისი თვალსაზრისი კონფერენციის პლენუმზე და კომისიებში, პროცედურის წესებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

მ. პიადეს სიტყვა

იუგოსლავიის დელეგაციის წარმომადგენელი მ. პიადე თავის სიტყვაში შეეხო საბერძნეთის დელეგატ ცალდარისის გამოსვლას. „ჩვენ აქ იმისათვის შევიკრიბეთ, — სთქვა პიადემ, — რომ დავამყაროთ მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობა, და ჩვენ უფლება არა გვაქვს სიმართლე დავფაროთ. სიმართლე კი შემდეგში მდგომარეობს: საბერძნეთის დელეგაცია მისდევს ძველ პოლიტიკურ ხაზს, რომლითაც წარსულში ბალკანეთის მონარქიები ხელმძღვანელობდნენ და რომელიც დაუსრულებელ ომებს იწვევდა ბალკანეთის სახელმწიფოებს შორის. ეს მავნე პოლიტიკური ხაზი ამ ომის შემდეგ უკუაგდო ბალკანეთის ყველა სახელმწიფომ, საბერძნეთის გარდა".

პიადემ აღნიშნა, რომ ალბანეთის დანაწილების საკითხი წარსულში არაერთხელ წარმოადგენდა ბალკანეთში საომარ შეტაკებათა მიზეზს. „ახლა ჩვენ მიგვაჩნია, — განაგრძო პიადემ, — ერთადერთი შესაძლებლობა თავიდან ავიცილოთ მუდმივი ომები ბალკანეთში ის არის, რომ მტკიცე მეგობრობა დამყარდეს ბალკანეთის ქვეყნებს შორის და, კერძოდ, იუგოსლავიასა და ალბანეთს შორის. ასეთი მეგობრობის საფუძველს წარმოადგენს იუგოსლავიის მიერ ალბანეთთან დადებული ხელშეკრულება, რომელიც საშუალებას იძლევა განვავითაროთ მეგობრული, ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობა ცალკეულ ქვეყნებს შორის".

მაგრამ, განაცხადა პიადემ, საბერძნეთის მთავრობამ ხელი არ აიღო დამღუპველ ძველ პოლიტიკურ ხაზზე. ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინათ ცალდარისმა წინადადება მისცა იუგოსლავიის წარმომადგენლებს მოახდინონ ალბანეთის განაწილება საბერძნეთსა და იუგოსლავიას შორის. იუგოსლავიის მთავრობამ, ცხადია, უარჰყო ეს წინადადება. იუგოსლავიის დელეგატის ამ განცხადებამ საერთო ყურადღება მიიპყრო კონფერენციაზე. განსაცვიფრებელია, — განაგრძო იუგოსლავიის წარმომადგენელმა, — რომ ყველა გაკვეთილის შემდეგ საბერძნეთში ჯერ კიდევ ვერ შეიგნეს, რომ ალბანეთის დანაწილება საშუალებას არ მოგვცემს დავამყაროთ მშვიდობა ბალკანეთში, არამედ, პირიქით, ახალ ომებს წარმოშობს. მხოლოდ თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების პოლიტიკით შეიძლება ბალკანეთში მტკიცე მშვიდობისათვის საფუძვლის ჩაყრა. ალბანეთის თავისუფლება და დამოუკიდებლობა ასეთი მშვიდობის აუცილებელი პირობაა.

დასასრულ პიადემ გაკვირვება გამოსთქვა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატის ბირნსის გამოსვლის გამო, რომელმაც წინადადება შეიტანა, რომ ალბანეთის მოწვევის საკითხი განსახილველად გადაეცეს გენერალურ კომისიას. პიადემ მოაგონა, რომ როცა იუგოსლავიის დელეგაციამ აღძრა საკითხი პროცედურის საკითხთა კომისიის სხდომაზე ალბანეთის მოწვევის შესახებ, მას მიუთითეს, ეს საკითხი კონფერენციის პლენუმმა უნდა გადასწყვიტოსო. ახლა, როცა საკითხი პლენუმზე იდგმება, ამბობენ, ის განსახილველად გენერალურ კომისიას უნდა გადაეცესო.

„მე დარწმუნებული არა ვარ, — შენიშნა პიადემ, — იმაში, რომ თუ ჩვენ ეს საკითხი გენერალური კომისიის სხდომაზე აღვძარით, კვლავ არ გაგვგზავნიან სადმე. იუგოსლავიის დელეგაცია ფიქრობს, რომ ალბანეთის მოწვევის საკითხი კონფერენციის პლენუმის სხდომის კომპეტენციაში შედის".

შემდეგ გამოვიდა საბჭოთა დელეგაციის წარმომადგენელი ვიშინსკი.

ა. ვიშინსკის სიტყვა

საბჭოთა დელეგაციამ, სთქვა ვიშინსკიმ, საჭიროდ მიაჩნია შეჩერდეს იმ საკითხებზე, რომლებიც ამ ტრიბუნიდან გამოსთქვეს სხვადასხვა დელეგაციების წარმომადგენლებმა. უწინარეს ყოვლისა მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა დიდი ბრიტანეთის დელეგაციის წარმომადგენლის ბ-ნ ალექსანდერის გამოსვლის იმ ნაწილის შესახებ, სადაც იგი შეეხო ალბანელი ხალხის პარტიზანული ბრძოლის საკითხს. მან ეს საკითხი დაუკავშირა პოლონეთის პარტიზანული ბრძოლის დამოწმებას და ხაზგასმით აღნიშნა, რომ პოლონეთის პარტიზანულ მოძრაობასა და ალბანეთის პარტიზანულ მოძრაობას შორის ერთგვარი განსხვავება არსებობს. ალექსანდერმა აღნიშნა, რომ პოლონეთი ფაშიზმის წინააღმდეგ იბრძოდა 1939 წლიდან. ამ ბრძოლაში მონაწილეობდნენ მისი ჯარისკაცები, მეზღვაურები, ავიატორები, პარტიზანები. ალექსანდერი ამ მხრივ მართალია. ეს ფაქტი, ეს უდავო ფაქტი და პოლონელი ხალხის უდიდესი ისტორიული დამსახურებაა. მაგრამ როცა სრულიად სამართლიანად აღიარებ პოლონელი ხალხის დამსახურებას, რა საჭიროა დამციროს ალბანეთის პარტიზანული მოძრაობის მნიშვნელობა? თუ დროის შესახებ ვილაპარაკებთ, ალბანეთში პარტიზანული მოძრაობა ხომ იმაზე ბევრად უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე ბრძოლაში ჩაებმოდნენ პოლონეთის პარტიზანები. უკვე 1939 წლის აპრილის დღეებში ალბანელ პარტიზანთა რაზმები ანადგურებდნენ იტალიელებს. ბ-ნი ალექსანდერი იუგოსლავიის დელეგაციის წინადადების საწინააღმდეგო მოსაზრებებს იმით ასაბუთებს, რომ ალბანეთის პარტიზანული მოძრაობა თითქოს არავითარ საფუძველს არ იძლევა ამისათვის, მაშინ როცა სხვა ქვეყნებისა და პოლონეთის მოძრაობა ასეთ საფუძველს იძლევა. უნდა ვაღიაროთ, რომ ბ-ნ ალექსანდერის ეს საბუთი აშკარა სისუსტით ხასიათდება. და არა მარტო ეს საბუთი ხასიათდება ამ თვისებით.

როგორც ცნობილია, ალბანეთი ევროპაში ფაშისტური აგრესიის ერთ-ერთი პირველი მსხვერპლია. იგი ბედის ანაბარად მიატოვა მეფე ახმედ ზოგუს მაშინდელმა მთავრობამ. მაგრამ ბედის ანაბარად მიტოვებულმა ამ გმირმა ხალხმა იპოვა თავისი ბელადები, წამოაყენა თავისი გმირები, აფრიალა უცხოელ ოკუპანტთა წინააღმდეგ ბრძოლის დროშა და ბრწყინვალედ გაჩაღა უთანასწორო ბრძოლა. თავისი გამბედაობით და თავისუფლებისმოყვარე ერთა საქმისადმი ერთგულებით პატარა ალბანელმა ხალხმა სახელოვანი ფურცლები ჩასწერა მოკავშირეებთან ერთად გმირული ბრძოლისა და საერთო მტერზე გამარჯვების ისტორიაში.

ალბანელი ხალხი 1939 წელს იარაღით ხელში შეხვდა ალბანეთის ტერიტორიაზე იტალიის საოკუპაციო ჯარების გადასხდომას. მიუხედავად იმისა, რომ მეფე ზოგუ მოუწოდებდა ხალხს დამორჩილებოდა ოკუპანტებს, ალბანელები იარაღს ისხამდნენ და თავს ესხმოდნენ თავისი მტრის ზურგსა და ფრონტებს ყველგან, სადაც კი ამისი შესაძლებლობა იყო.

მე დავასახელებ მხოლოდ რამდენიმე ფაქტს. 1939 წლის 5, 6 და 7 აპრილს 15 ათასი ალბანელი პატრიოტი გმირულად იბრძოდა იტალიელი ფაშისტების წინააღმდეგ ქალაქებში დურაცოსა და ვალონაში და მთელ რიგ ადგილებში ადრიატიკის მთელ სანაპიროზე. პატრიოტების აჯანყება ჩაახშო ფაშისტთა სამხედრო მანქანამ, მაგრამ ბრძოლა არ შეწყვეტილა. და უკვე 1939 წლის ოკუპაციის პირველ დღეებში ალბანეთის მთებში ფაშიზმის წინააღმდეგ იბრძოდა ხუთი პარტიზანული რაზმი 3 ათასზე მეტი კაცის რაოდენობით. ეს კიდევ არ არის ბევრი. მაგრამ ეს უკვე პირველი მაუწყებლებია იმ მძლავრი სამხედრო დარტყმებისა, რომლებიც პატარა ალბანელმა ხალხმა მას შემდეგ თავს დაატეხა უცხოელ დამპყრობლებს.

ოკუპანტები ვერ ახერხებდნენ და ვერ მოახერხეს ჩაეხშოთ ალბანელი ხალხის ბრძოლის ნებისყოფა. იტალიელების მიერ შექმნილი კვისლინგური მთავრობები იძულებული იყვნენ ზედიზედ გადამდგარიყვნენ, იმიტომ, რომ ვერავითარი დასაყრდენი ვერ ჰპოვეს ხალხში, ისინი ანტისახალხო მთავრობები იყვნენ. ქალაქებისა და დიდი ცენტრების ბლოკადა, რაც ოკუპანტებმა შემოიღეს, მხოლოდ აძლიერებდა ხალხის გულისწყრომას. ხალხი მთებში მიდიოდა, ახალ პარტიზანულ რაზმებს ჰქმნიდა, არღვევდა კავშირგაბმულობას, გზებს, სპობდა მტრის ცოცხალ ძალას. 1941 წელს პარტიზანულმა ბრძოლამ ალბანეთში ფართო გაქანება მიიღო.

1942 წელს 40 პარტიზანულ რაზმში 10 ათასი კაცი მოქმედებდა. 1944 წელს მტრის წინააღმდეგ იბრძოდა ალბანელი ხალხის უკვე რეგულარული არმია, რომელშიც 70 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი ითვლებოდა. აი ფაქტები, რომლებიც არ შეიძლება დავივიწყოთ, რომლებიც მხედველობაში უნდა მივიღოთ, როცა ვლაპარაკობთ ალბანელი ხალხის ბრძოლაზე გერმანიისა და იტალიის ფაშისტური ურდოების წინააღმდეგ. სახალხო მოძრაობის გაქანება მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მაშინ, როცა აქ ლაპარაკობენ ამათუიმ ქვეყნის პასუხისმგებლობაზე თავიანთი მთავრობებისათვის, რომლებმაც ეს ქვეყნები ჩაითრიეს ომში გაერთიანებული ერების წინააღმდეგ იტალიელი და გერმანელი აგრესორების მხარეზე.

ის წვლილი, რაც ალბანელმა ხალხმა ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ, მუსოლინის იტალიის წინააღმდეგ მოკავშირე სახელმწიფოთა ბრძოლის საერთო საქმეში შეიტანა, უეჭველია, მაღალი შეფასების ღირსია.

გუშინ აქ აღინიშნა, თუ როგორ აფასებდნენ ალბანელი ხალხის ამ ბრძოლას დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობები. მე მინდა მოგაგონოთ, თუ როგორ აფასებდა ამ ბრძოლას საბჭოთა მთავრობა. ეს უკეთესად გაგვაგებინებს იმას, თუ რატომ ახლაც გამოსთქვამს საბჭოთა მთავრობა თავის სიმპატიებს ალბანეთისადმი, იცავს რა თანმიმდევრობას და თავის იმ პოზიციებს, რომლებიც იმ დროს ალბანეთის მიმართ ეკავა.

1942 წლის დეკემბერში საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, იგი დარწმუნებულია იმაში, რომ ალბანელი ხალხის ბრძოლა თავისი დამოუკიდებლობისათვის შეერთვის იტალიის მიერ ჩაგრული სხვა ბალკანელი ხალხების განმათავისუფლებელ ბრძოლას, რომლებიც ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთან კავშირში განდევნიან დამპყრობლებს თავისი მიწა-წყლიდან.

ეს სიტყვები სავსებით გამართლდა. ალბანელი ხალხის ბრძოლა მართლაც შეერთო ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ბრძოლას მჩაგვრელების წინააღმდეგ და მიგვიყვანა გამარჯვებამდე. და აი ახლა ამ ტრიბუნაზე გამოდის საბერძნეთის ახლანდელი მთავრობის წარმომადგენელი — ბ-ნი ცალდარისი და ცდილობს ცილი დასწამოს ალბანეთს, აცხადებს, თითქოს ალბანეთი არ მონაწილეობდა მოკავშირეთა საერთო ბრძოლაში უცხოელთა უღლის წინააღმდეგ. ბ-ნ ცალდარისის სიტყვას ანალიზი რომ გავუკეთოთ, ადვილად დავრწმუნდებით, ყოველი მისი თეზისი მკვეთრად ეწინააღმდეგება ფაქტებს.

ცალდარისი, მაგალითად, ამბობს, თითქოს ალბანეთმა იტალიის ჯარებს საშუალება მისცა ყოველგვარი წინააღმდეგობის გაუწევლად დაეკავებინათ ეს ქვეყანა. ეს ხომ მართალი არ არის! ფაქტები, რომლებიც ეს არის ახლა მოვიყვანე, უდავოა. ალბანელი ხალხი ექვსი წლის განმავლობაში აწარმოებდა ბრძოლას ოკუპანტების წინააღმდეგ და გამარჯვებით დაამთავრა ეს ბრძოლა. ბ-ნი ცალდარისი ალბანეთად გულისხმობს ალბანეთის მთავრობას. მაგრამ ალბანეთის ყოფილი მთავრობა, რომელიც მორჩილად ემსახურებოდა იტალიელებს, ალბანელი ხალხი როდია. ყოველთვის როდი შეიძლება თქმა, რომ მთავრობა იგივე ხალხია, რომ მთავრობის მოქმედება ხალხის მოქმედებაა. არ შეიძლება ამ სხვადასხვა ცნებების აღრევა. თქვენთვის, ბ-ნო ცალდარის, საბერძნეთის მთავრობის წარმომადგენლისათვის, ეს უკეთ გასაგები უნდა იყოს, ვიდრე სხვა ვინმესთვის (ტაში).

ბ-ნმა ცალდარისმა თავს ნება მისცა ამ მაღალი ტრიბუნიდან ეთქვა, თითქოს ალბანეთის ხალხი ნებაყოფლობით ეხმარებოდა აგრესორებს. სად არის თქვენი ფაქტები? თქვენს ბარათებში იმოწმებდით იმას, რომ ვიღაც ადამიანებმა 16 ბერძენი მოქალაქე წაიყვანეს თავის ტერიტორიაზე. მაგრამ თუ ანგარიშს გავუწევთ ასეთ ფაქტებს, შეიძლება უამრავი დოკუმენტები მოვიყვანოთ საბერძნეთის სასაზღვრო ინციდენტების შესახებ, როცა საბერძნეთის ჟანდარმებსა და სასაზღვრო დარაჯებს არათუ მნიშვნელოვანი რაოდენობით მიჰყავდათ ადამიანები საბერძნეთის ტერიტორიაზე, არამედ ეს ადამიანები უკვალოდაც იკარგებოდნენ.

ალბანელი ხალხისათვის სახელი რომ გაეტეხა, ბ-ნი ცალდარისი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ პარტიზანული მოძრაობა — სახალხო ანტიფაშისტური მოძრაობა, რომელიც ალბანეთის არმიის ორგანიზაციის საფუძველი გახდა, — არ არსებობდა. მან სთქვა, რომ მხოლოდ მოკავშირენი ცდილობდნენ აღეძრათ სახალხო მოძრაობა ალბანეთში, ისევე როგორც გერმანიაშიო. ეს შენიშვნა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

ბ-ნი ცალდარისი ცდილობს დაამტკიცოს, თითქოს რეგულარული ჯარებიც კი ალბანეთში მოკავშირეებმა შექმნეს. ეს საბერძნეთის შესახებ რომ ეთქვა, მე დავას არ დავიწყებდი (ტაში). მაგრამ ალბანეთის შესახებ ამის თქმა ნიშნავს უხეშად დაამახინჯო სინამდვილე. დასასრულ, ბ-ნმა ცალდარისმა ასეთი ორატორული ხერხი იხმარა: იგი ამბობს, საბერძნეთი ვერ დაივიწყებს იმ დამსახურებას, რაც ალბანეთმა აგრესორს გაუწიაო. მან მოიხსენია საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ბ-ნ მოლოტოვის განცხადება იმის შესახებ, რომ დაუსჯელობა აგრესიისაგან დაზარალებულ სახელმწიფოთა უფლებების დაცვაზე ხელის აღებას ნიშნავს. ეს სავსებით სამართლიანად იყო ნათქვამი, და ჩვენ ამას ვიცავთ ყველა იმ საკითხში, რომლებიც პასუხისმგებლობის პრობლემას შეეხება. მაგრამ არ შეიძლება აქედან გამოიყვანო ის დასკვნა, რომელიც გამოჰყავს ბ-ნ ცალდარისს, ე. ი. პასუხისმგებლობის საკითხში ერთ გროვად აურიო ყველაფერი — ალბანელი ხალხიც, ალბანეთის მთავრობაც და ალბანეთიც, როგორც ქვეყანა, და არავითარი განსხვავება არ დაინახო ერთს, მეორესა და მესამეს შორის.

დასასრულ მე მინდა შევჩერდე ინგლისის დელეგაციის წინადადებაზე იმის შესახებ, რომ ალბანეთის მოწვევის საკითხი განსახილველად გადაეცეს გენერალურ კომისიას. რატომ სახელდობრ გენერალურ კომისიას? რას წარმოადგენს გენერალური კომისია? პროცედურის წესებში, რომლებიც ჩვენი კონფერენციის წესდებას წარმოადგენენ, ნათქვამია, რომ გენერალური კომისია მოწოდებულია დახმარება გაუწიოს კონფერენციის მუშაობას, განახორციელოს სხვადასხვა კომისიების მუშაობის კოორდინაცია. მაგრამ აქ საქმე არც რამე კოორდინაციას შეეხება და არც რამე კომისიას. ჩვენ საქმე გვაქვს სერიოზულ და პრინციპულ საკითხთან, რომელიც თვით კონფერენციამ უნდა გადასწყვიტოს. ამიტომ საბჭოთა დელეგაცია წინააღმდეგია იმისა, რომ ალბანეთის საკითხი გენერალურ კომისიას გადაეცეს.

ამბობენ, თითქოს საბჭოთა დელეგაცია მოითხოვს ალბანეთის საკითხი უფრო ადრე გადასწყდეს, ვიდრე სხვა ქვეყნებისა, რომლებიც ითხოულობენ ნება დაერთოს მათ მონაწილეობა მიიღონ ამ კონფერენციაში. ეს სინამდვილეს არ შეეფერება, ვინაიდან საბჭოთა დელეგაცია მხოლოდ იმას ამბობს, რომ, რამდენადაც დღის წესრიგში დასმულია ალბანეთის საკითხი, სწორედ ის უნდა გადავწყვიტოთ აქ და არ ავყიდოთ მას მთელი რიგი სხვა საკითხები იმისათვის, რომ არ გადავწყვიტოთ იგი.

საბჭოთა დელეგაციის თვალსაზრისი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ გვსურს გადავწყვიტოთ ეს საკითხი, რაკი ის დღის წესრიგშია დასმული. ჩვენი ოპონენტები კი წინადადებას იძლევიან ეს საკითხი არ გადავწყვიტოთ, თუმცა იგი დასმულია დღის წესრიგში. თუ ამას ისინი სათანადო ინტერესებისათვის აკეთებენ და თუ თქვენ ეს ლოგიკურად მიგაჩნიათ, — კეთილი, მოიქეცით ისე, როგორც საჭიროდ სთვლით. ჩვენ ეს არასწორად მიგვაჩნია და ამის წინააღმდეგი ვიქნებით.

დისკუსია გრძელდება. ვიშინსკის სიტყვამ, დამაჯერებელი და მტკიცე არგუმენტებით მდიდარმა, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დელეგატებზე და ხელი შეუწყო კონფერენციაზე ალბანეთის მოწვევის საკითხში მთელი რიგი დელეგაციების თვალსაზრისთა დაახლოებას. ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ბირნსმა მოხსნა თავისი წინადადება ამ საკითხის გენერალური კომისიისათვის გადაცემის შესახებ; ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის წინადადების საფუძველზე წამოყენებულ იქნა გადაწყვეტილების პროექტი, რომელსაც მხარი დაუჭირეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის დელეგაციების წარმომადგენლებმა: „კონფერენცია იწვევს ალბანეთს, მექსიკას, კუბასა და ეგვიპტეს, რათა მათ შესძლონ გამოსთქვან თავიანთი თვალსაზრისი როგორც კონფერენციაზე, ისე კომისიებში იტალიასთან ზავის საკითხების შესახებ, რომლებითაც ისინი დაინტერესებული არიან".

საბჭოთა დელეგაციის წარმომადგენელმა ვიშინსკიმ წინადადება წამოაყენა შეწყდეს შემდგომი კამათი, ვინაიდან საკითხი ნათელია, და კენჭი ეყაროს გადაწყვეტილების ამ პროექტს. ეს წინადადება მოულოდნელად წააწყდა დიდი ბრიტანეთის დელეგაციის ხელმძღვანელ ალექსანდერისა და ევატის (ავსტრალია) მკვეთრ წინააღმდეგობას. ისინი მოითხოვდნენ დისკუსიის განგრძობას, რის გამო საბჭოთა დელეგაციამ მოხსნა თავისი წინადადება კამათის შეწყვეტის შესახებ.

საკითხის განხილვა გაგრძელდება ორშაბათს, 12 აგვისტოს.

10 აგვისტოს საღამოს პლენარული სხდომა

პარიზი, 10 აგვისტო. (საკუთარი სპეც. კორ.). დღევანდელი საღამოს პლენარული სხდომა მიეძღვნა იტალიასთან საზავო ხელშეკრულების პროექტის შესახებ იტალიის დელეგაციის მოსაზრებათა მოსმენას.

სხდომის დასაწყისში კონფერენციის თავმჯდომარემ ბიდომ წინადადება მისცა გენერალურ მდივანს ჟაკ დიუპარკს შემოიყვანოს სხდომის დარბაზში იტალიის დელეგაცია. დელეგაციის წევრებმა დაიკავეს მათთვის განკუთვნილი ადგილები. შემდეგ სიტყვა მიეცა იტალიის დელეგაციის ხელმძღვანელს იტალიის პრემიერ-მინისტრ დე გასპერის.

დე გასპერიმ განაცხადა, რომ იგი საზავო კონფერენციის ტრიბუნიდან გამოდის არა მარტო როგორც წარმომადგენელი იტალიისა, რომელიც მტერი იყო საზავო კონფერენციაზე წარმოდგენილი ქვეყნების წინააღმდეგ ომში, არამედ როგორც დემოკრატიც, ანტიფაშისტი, წარმომადგენელი ახალი რესპუბლიკისა, რომელიც მიისწრაფვის მტკიცე და შემოქმედებითი მშვიდობისა და ხალხთა შორის თანამშრომლობისაკენ.

გადავიდა რა იტალიის დელეგაციის მოსაზრებათა გამოთქმაზე საზავო ხელშეკრულების ამ პროექტის შესახებ, რომელიც გამომუშავებულია საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მიერ, დე გასპერიმ სთქვა, რომ იტალიის მთავრობას საზავო ხელშეკრულების ეს პროექტი მეტად მკაცრად მიაჩნია იტალიისათვის. ავითარებდა რა ამ მოსაზრებებს, დე გასპერი ისეთ კილოზე ლაპარაკობდა მომავალი ხელშეკრულების შესახებ, რომ ხშირად ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ საქმე ეხება იმ ქვეყანას, რომელიც ფაშისტურ გერმანიასთან კავშირში ომობდა და პასუხისმგებელია აგრესიაში მონაწილეობისათვის.

იტალიის პრემიერ-მინისტრმა დაიწყო იმ ზომების საწინააღმდეგო მოსაზრებათა გამოთქმიდან, რომლებსაც ატარებენ იტალიის მოსაზღვრე სახელმწიფოთა უშიშროების განსამტკიცებლად. „საზავო კონგრესზე მეტად არასასიამოვნოა იარაღზე და ომის საშუალებებზე ლაპარაკი, — სთქვა მან, — მაგრამ მე უნდა მოვიხსენიო ისინი იმიტომ, რომ იტალიის [illegible] საშიშროების წინააღმდეგ ზრუნვა ხელშეკრულებაში ისე შორს წავიდა, რომ დაცვის ჩვენი შესაძლებლობანი, რომლებთანაც დაკავშირებულია ჩვენი დამოუკიდებლობა, გაძნელებული აღმოჩნდნენ. არასოდეს ჩვენს თანამედროვე ისტორიაში ჩვენი სახლის კარი ასე ღია არ ყოფილა და ჩვენი დაცვის შესაძლებლობანი ასე შეზღუდული. ეს ეხება ჩვენს აღმოსავლეთ საზღვარს, აგრეთვე დასავლეთ საზღვრის ზოგიერთ შესწორებას, რომლებიც, უეჭველია, კოლექტიური უშიშროების პრინციპებიდან როდი გამომდინარეობენ".

დე გასპერიმ დაწვრილებით ილაპარაკა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში ომის უკანასკნელ ეტაპზე იტალიის მონაწილეობის შესახებ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს მონაწილეობა საკმაოდ არ არის ასახული საზავო ხელშეკრულების პრეამბულაში.

დე გასპერის განცხადებაში მთავარი ყურადღება ექცევა იულიის კრაინისა და ტრიესტის საკითხებში მინისტრების საბჭოს გადაწყვეტილებათა კრიტიკას. აქ დე გასპერი თავს ნებას აძლევს უპასუხისმგებლობა გამოსთქვას. იგი არ მოერიდა დაჟინებით მოეთხოვა, რომ საზღვარი იტალიასა და იუგოსლავიას შორის გავლებულ უნდა იქნას ეგრეთწოდებულ ვილსონის ხაზზე, რომელიც, როგორც ცნობილია, იულიის კრაინის ძირითად ნაწილს, მათ შორის ტრიესტსა და სხვა უმნიშვნელოვანეს ქალაქებს, იტალიის მხარეზე სტოვებს. განაცხადა რა, რომ იტალიის პოზიცია ამ საკითხში საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭომ არ იცნო, დე გასპერიმ მიმართა კონფერენციას და წინადადება წამოაყენა ერთი წლით გადაიდოს იულიის კრაინის საკითხის გადაწყვეტა, ისევე როგორც ეს მოხდა იტალიის ყოფილი კოლონიების ბედის საკითხში. მეორე მხრივ თვალში გეცემოდა დე გასპერის ფრიად ლოიალური დამოკიდებულება საზავო ხელშეკრულების პროექტის ეკონომიური მუხლებისადმი. ეს მუხლები, როგორც ცნობილია, შეუთანხმებელი დარჩა, რადგან იტალიისადმი ინგლისისა და ამერიკის დელეგაციების მიერ წარდგენილ მთელ რიგ ეკონომიურ მოთხოვნათა სიმძიმის გამო, საბჭოთა დელეგაციას არ შეეძლო დათანხმებოდა მათ. იტალიის პრემიერ-მინისტრი ოდნავ შეეხო ამ საკითხს და ისიც ისეთი ფორმით, თითქოს საქმე მეორეხარისხოვან საკითხებს ეხებოდეს.

დე გასპერის განცხადებაში აღნიშნული იყო საზავო ხელშეკრულების პროექტის 69-ე მუხლი, რომელიც ყოველ მოკავშირე სახელმწიფოს უფლებას აძლევს აიღოს, დაიკავოს, ლიკვიდაცია უყოს იტალიელთა საკუთრებას საზღვარგარეთ. იგი აღნიშნავდა, რომ ასეთი მუხლის ხელაღებით გამოყენება მძიმე შედეგებს გამოიწვევდა იტალიის ეკონომიკისათვის.

დე გასპერი დაჟინებით მოითხოვდა, რომ ეკონომიური ურთიერთობა იტალიასა და მოკავშირეებს შორის მოგვარებულ იქნას ურთიერთგაგების სულისკვეთებით. 1943 წლის 13 ოქტომბრის შემდეგ, როცა იტალიამ დაიწყო მონაწილეობის მიღება გერმანიის წინააღმდეგ საომარ მოქმედებაში მოკავშირეთა მხარეზე, მოკავშირეთა ჯარების შესანახი ხარჯები აღარ შეიძლება განხილულ იქნას როგორც საოკუპაციო ხარჯები, რომლებიც დასახული იყო დროებითი ზავის დროს. ლაპარაკი უნდა იყოს ერთობლივ სამხედრო ხარჯებზე საომარი მოქმედების უზრუნველსაყოფად იტალიის ფრონტზე.

„როცა შეეხება რეპარაციებს, — ამბობს დე გასპერი, — ჩვენ მზად ვართ გავიღოთ საჭირო მსხვერპლი. მაგრამ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ იმას, რომ იტალიის ეკონომიკას ტვირთი დააწვეს განუსაზღვრელი დროით".

დე გასპერიმ განაცხადა, რომ იტალიის მთავრობა წინააღმდეგი არ არის მინისტრების საბჭოს გადაწყვეტილებისა ერთი წლით გადაიდოს იტალიის კოლონიების ბედის განსაზღვრა და გაგრძელდეს ამ კოლონიების სამხედრო ადმინისტრაციის ახლანდელი რეჟიმი.

შეეხო რა სამხედრო საკითხებს, დე გასპერიმ განაცხადა, რომ იტალიის წარმომადგენლები თავიანთ მოსაზრებებს გამოსთქვამენ ექსპერტთა კომისიის წინაშე. იგი დაჟინდა განცხადებას, რომ იტალიის ფლოტი, რომელიც ომის საბოლოო ეტაპზე გერმანელების წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობდა, იტალიის მთავრობის აზრით, არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც სამხედრო ნადავლი. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, განაცხადა დე გასპერიმ, რომ იგი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას რესტიტუციის ან კომპენსაციის სახით.

დასასრულ დე გასპერიმ ითხოვა შესაძლებლობა მიეცეს იტალიის რესპუბლიკას მონაწილეობა მიიღოს საყოველთაო მშვიდობის მშენებლობაში. როცა დე გასპერიმ თავისი სიტყვა დაამთავრა, ბიდომ სთხოვა გენერალურ მდივანს გაჰყოლოდა იტალიის დელეგაციას, და დელეგაციამ დასტოვა სხდომის დარბაზი.

შემდეგ გამოვიდა იუგოსლავიის დელეგაციის მეთაური კარდელი, რომელმაც განაცხადა, რომ დელეგატებს ესაჭიროებათ დრო, რათა მოიფიქრონ და აწონდაწონონ იტალიის მიერ წამოყენებული მოსაზრებანი, და წინადადება წამოაყენა დე გასპერის დეკლარაციის განხილვა გადაიდოს შემდეგი სხდომისათვის. ეს წინადადება მიღებულ იქნა.

კონფერენციის შემდეგი პლენარული სხდომა შესდგება ორშაბათს, 12 აგვისტოს. სხდომის დღის წესრიგშია კონფერენციაზე ალბანეთის მოწვევის საკითხის განხილვა, კონფერენციის სამდივნოს შესახებ საკითხის გადაწყვეტა, კონფერენციისათვის დღის წესრიგის შემუშავების წესის განსაზღვრა და იტალიის წინადადების განხილვა.

პარიზის კონფერენციის ორი კვირის მუშაობა

პარიზი, 11 აგვისტო. (საკუთარი სპეც. კორ.). გავიდა პარიზის საზავო კონფერენციის მუშაობის ორი კვირა. ამასთან დაკავშირებით, პარიზის, ლონდონისა და ნიუ-იორკის პრესა ცდილობს შეაჯამოს საზავო კონფერენციის პირველი ეტაპის შედეგები. გაზეთები იძულებული არიან აღიარონ, რომ ეს შედეგები მეტად მცირეა.

მთელი რიგი ცნობილი პუბლიცისტები და მიმომხილველები აღიარებენ, რომ კონფერენციამ უხეში შეცდომა დაუშვა, როცა დაარღვია საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება პროცედურის საკითხებში, — კონფერენციის რეკომენდაციები მიღებულ იქნას ხმის ორი მესამედის კვალიფიციური უმრავლესობით. ასეთი წესი შეიძლებოდა კონფერენციის წარმატებათა არსებითი პირობა ყოფილიყო: იგი რამდენიმედ შეამცირებდა სახელმწიფოთა გარკვეული ჯგუფის კონფერენციის სხვა მონაწილეებზე ზეგავლენის შესაძლებლობას და სადავო საკითხებში გონივრულ შეთანხმებათა ძიების ერთგვარი სტიმული იქნებოდა. როგორც ცნობილია, კონფერენციამ უარჰყო ეს წესი და მიიღო გადაწყვეტილება — საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს განსახილველად გადაეცეს ის რეკომენდაციებიც კი, რომლებიც ერთი ხმის უმეტესობით იქნება მიღებული. ასეთი დადგენილება, რომელიც უგულებელჰყოფს ერთსულოვნების საჭიროებას, ეხმარება იმათ, ვინც ისწრაფვის ძირი გამოუთხაროს საერთაშორისო თანამშრომლობას და ზრუნავს არა კონფერენციის წარმატებისთვის, არამედ თავიანთი ჯგუფობრივი ინტერესებისთვის.

თვალსაჩინო ინგლისელი ჟურნალისტი ჰაროლდ ნიკოლსონი, რომელიც წარსულში ვერსალის საზავო კონფერენციის მონაწილე იყო, დღეს პარიზის გაზეთ „ფიგაროში" აღნიშნავს, რომ ამჟამად პარიზში მიღებული კენჭისყრის წესი საზავო კონფერენციაზე ჰქმნის „არარეალობის ატმოსფეროს". ნიკოლსონი აცხადებს, რომ კონფერენციამ ანგარიში არ გაუწია წარსულის გამოცდილებას, და ამას „ტრაგედიას" უწოდებს.

ცნობილი ფრანგი ჟურნალისტი პერტინაქსი, თავის მხრივ, გაზეთ „ფრანს-სუარის" ფურცლებზე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ხმის უმრავლესობით კენჭისყრის პროცედურა არასოდეს არ ყოფილა გამოყენებული დიპლომატიურ კონფერენციებზე". ავტორი „ჰგმობს ამერიკისა და ინგლისის წარმომადგენლებს, რომლებმაც უარჰყვეს საფრანგეთის კომპრომისული წინადადება კენჭისყრის წესის შესახებ, რამაც საბჭოთა დელეგაციის მხარდაჭერა ჰპოვა. პერტინაქსი გამოსთქვამს იმ ჯანსაღ აზრს, რომ „ბოლოსდაბოლოს არც ერთი ხელშეკრულება ყოფილ სატელიტებთან ხელმოწერილ არ იქნება გაერთიანებული ერების მიერ მთლიანად, თუ „დიდი ოთხეული" ერთსულოვანი არ იქნა".

ამერიკული გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი" მოწინავე სტატიაში აგრეთვე აღიარებს, რომ საზავო კონფერენციაზე „ხმის უმრავლესობა წარმოადგენს რაღაც უაზრო არითმეტიკულ ფოკუსს, და რომ კონფერენციას არ შეუძლია რამე ღირებული გააკეთოს, თუ იგი არ მიაღწევს ერთგვარ რეალურ ერთსულოვნებას". გაზეთი სწერს, რომ ხმის ორი მესამედის უმრავლესობით კენჭისყრა „მართლაც სასარგებლო იქნებოდა და დელეგატებს აიძულებდა პირდაპირ გაესწორებინათ თვალი შეთანხმების მიღწევის აუცილებლობისათვის, და თავი არ აერიდებინათ მისთვის უმრავლესობის ხმის მიცემით". მაგრამ, აღიარებს რა საბჭოთა თვალსაზრისის სისწორეს, „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნს", როგორც სჩანს, სურს აამოს ამერიკის დელეგაციას, და სწორად სთვლის საწინააღმდეგო პოზიციასაც — ანგლო-საქსი დელეგატების პოზიციას კენჭისყრის წესის საკითხებში.

შეიძლება მხოლოდ თანაგრძნობა გამოვუცხადოთ ანგლო-საქსური პრესის იმ ნაწილს, რომელიც მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, რაკი არა სურს პირწმინდად უარჰყოს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პირვანდელი წინადადება კენჭისყრის წესის შესახებ. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დიდ ბრიტანეთთან ერთად ხომ ხელმძღვანელი როლი შეასრულეს საზავო კონფერენციის პროცედურის საკითხებზე საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ძირითადი წინადადების ჩაშლის საქმეში. დიდი ბრიტანეთის დელეგაციამ იკისრა შრომა ჩამოეყალიბებინა და შეეტანა შესწორება, რომელიც ითვალისწინებს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს შეთანხმებული გადაწყვეტილების მოსპობას. შეერთებული შტატების დელეგაციამ აქტიურად დაუჭირა მხარი ამ შესწორებას, რომელიც მიღებულ იქნა კონფერენციის მიერ. ორივე დელეგაციამ მოგვცა იმის თვალსაჩინო მაგალითი, რასაც არასგზით არ შეიძლება ეწოდოს საერთაშორისო თანამშრომლობის მაგალითი.

ამერიკის შეერთებული შტატების პირველი დელეგატი ბირნსი, რომელიც ამართლებს ამერიკის, ხოლო მასთან ერთად ბრიტანეთის წარმომადგენელთა პოზიციას, ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ჯერ კიდევ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სესიაზე მან გამოითხოვა უფლება მიემხრობოდა პროცედურის წესების კონფერენციაზე შეტანილ ყოველგვარ შესწორებას, რომელსაც იგი მიზანშეწონილად დაინახავს.

მაგრამ, საერთაშორისო მიმომხილველთა აზრით, ამ ცუდად აწონ-დაწონილ არგუმენტაციას მეტად საეჭვო თვისებანი აქვს. გამოდის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ თავი ისე მოაჩვენა, თითქოს იგი ეთანხმება პროცედურის წესებს, რომლებიც საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭომ მიიღო 9 ივლისს. როდესაც პროცედურის ამ წესების განხილვა დაიწყეს კონფერენციაზე, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ გამოაჩინა თავისი ნამდვილი სახე და ინგლისის დელეგაციასთან ერთად შეუპოვარი ბრძოლა დაიწყო ოთხი მინისტრის გადაწყვეტილების გადასასინჯავად. კარგად რომ დავაკვირდეთ ბირნსის სიტყვებსა და მისი მდივნის ჩანაწერებს, რომელთა [illegible] სიტყვებში [illegible] გულმოდგინედ [illegible] ამერიკის დელეგატი [illegible], ეს გამოსვლები სხვას ვერაფერს დაამტკიცებენ.

ყურადღების ღირსია პოზიცია საფრანგეთისა — მესამე სახელმწიფოსი, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში მონაწილეობს. საფრანგეთის დელეგაციამ ჯერ შეიტანა წინადადება კენჭისყრის წესის შესახებ, რომელიც შეეფერებოდა მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების სულისკვეთებას, მაგრამ მალე გამოიცვალა ადგილი და ამ გადაწყვეტილების მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადავიდა.

რეაქციულმა ფრანგულმა გაზეთმა „ეტუალ დიუ სუარმა" გულახდილად სთქვა ამის გამო: „საფრანგეთის დელეგატმა საქმე იმით დაამთავრა, რომ ანტისაბჭოთა უმრავლესობას მიემხრო". „ეტუალ დიუ სუარი" საფრანგეთის დელეგაციის ასეთ საქციელს „საინტერესო პრეცედენტად" სთვლის და აღნიშნავს განსხვავებას საფრანგეთის ამ საქციელსა და საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში საფრანგეთის წინანდელ პოზიციას შორის. ეს განსხვავება თვალში ეცა ბევრ მეთვალყურეს. მიმომხილველი მანიანი გაზეთ „ლუმანიტეს" ფურცლებზე კითხულობს: „ნუთუ ატომურმა დიპლომატიამ ასეთი გავლენა მოახდინა საფრანგეთის ზოგიერთ წევრზე".

კანონიერი კითხვაა. როგორც სჩანს, რაღაც მოხდა კონფერენციის კედლებს გარეთ, რის შედეგადაც საფრანგეთის დელეგაციამ უარი სთქვა იმ პოზიციაზე, რომელსაც იგი ოთხი მინისტრის თათბირზე ემხრობოდა.

ჯერჯერობით კი გარკვეული ელემენტები წინასწარ გამოსთქვამენ სიხარულს ხმების შეფარდების გამო, რომელიც ანგლო-საქსურ ბლოკს აქვს კენჭისყრის წესის შესახებ კონფერენციის დადგენილების შესაბამისად. ამას ჩადის, მაგალითად, ინგლისური გაზეთი „დეილი მეილი". ფრანგულმა გაზეთმა „სიტე სუარმა" მაღალფარდოვნად განაცხადა, რომ პარიზის კონფერენციის გადაწყვეტილება კენჭისყრის წესის შესახებ „წარმოადგენს დასავლეთის სახელმწიფოების სრულიად გარკვეულ გამარჯვებას სსრ კავშირსა და ევროპის აღმოსავლეთ ნაწილის ქვეყნებზე". მაგრამ ისინი, ვინც გატაცებულია ლაყბობით მოჩვენებითი „გამარჯვებებზე" და ხმების არითმეტიკული დათვლით, ანგარიშში მოსტყუვდებიან. საერთაშორისო ურთიერთობაში ასეთი ხერხები კარგს არაფერს მოიტანს, იმაზე თუ აღარ ვილაპარაკებთ, რომ ის დელეგაციები, რომლებიც დღეს მხარს უჭერენ ერთ წინადადებას, რათა ხვალ ამ აზრის წინააღმდეგ გამოვიდნენ, თვითონ აიძულებენ ობიექტურ ადამიანებს აქედან ჰკუის სასწავლო დასკვნები გამოიტანონ.

ამრიგად, პარიზის კონფერენციის მუშაობის პირველი ორი კვირის შედეგები საგრძნობი არ არის. ამასთან ერთად კონფერენცია არსებითად ჯერ კიდევ არ შესდგომია გერმანიის ყოფილ მოკავშირეებთან საზავო ხელშეკრულებათა პროექტების პრაქტიკულ განხილვას, ვინაიდან ამერიკისა და ბრიტანეთის დელეგაციების მანევრებმა, რომლებიც მიმართულია საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს გადაწყვეტილებათა ჩასაფუშავად, ბევრი ძვირფასი დრო მოითხოვეს და მათ მეტად საეჭვო წარმატება მოუტანეს.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ კონფერენციის ხელოვნურად გაჭიანურების მისწრაფებას, რასაც გარკვეული წრეები იჩენენ. ამ მისწრაფებამ, კერძოდ, თავი იჩინა კონფერენციაზე ალბანეთის მოწვევის საკითხის განხილვის დროს, იმ ქვეყნის მოწვევისა, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა განიცადა ფაშისტ აგრესორთა თავდასხმა და შეუპოვარ ბრძოლას ეწეოდა მათს წინააღმდეგ. ამ საკითხის ამომწურავი განხილვის შემდეგ, რაც ორი დღის განმავლობაში გრძელდებოდა, და რომლის მსვლელობაშიც დაისახა დელეგაციათა უმრავლესობისათვის მისაღები გადაწყვეტილება, საბჭოთა დელეგაციამ წინადადება შეიტანა დაემთავრებინათ კამათი და გადასულიყვნენ კენჭისყრაზე. მაგრამ დიდი ბრიტანეთისა და ავსტრალიის დელეგაციებმა დაჟინებით მოითხოვეს დისკუსიის განგრძობა და ყოველგვარი საბაბით აჭიანურებენ გადაწყვეტილების მიღებას.

გუშინდელი საღამოს და დღევანდელი დილის ფრანგული გაზეთები გადმოგვცემენ ხმებს იმის შესახებ, რომ სექტემბრის შუა რიცხვებში კონფერენცია თავის მუშაობას შესწყვეტს იმისათვის, რომ მისმა დელეგატებმა შესძლონ დასწრება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე, რომელიც ნიუ-იორკში იქნება მოწვეული 23 სექტემბერს. სრულიად ცხადია, რომ კონფერენციის განგრძობის შემთხვევაში წამოიჭრება საკითხი, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მოწვევა გადაიდოს წლის ბოლოსათვის, რათა არ გაჭიანურდეს კონფერენცია, რომლის შედეგზედაც დამოკიდებულია ზავის პირობების განსაზღვრა ევროპის მთელი რიგი სახელმწიფოებისათვის. მაგრამ, როგორც სჩანს, ეს უბრალო და ლოგიკური გამოსავალი არ აწყობს იმათ, ვინც უკვე ახლა აპროექტებს პარიზის კონფერენციის გადადებას, რათა რაღაც ახალი თამაში დაიწყოს კონფერენციის ზურგს უკან. გაზეთები გადაჭრით აღნიშნავენ, რომ ხმები ასეთი გადადების შესაძლებლობის შესახებ მომდინარეობენ საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წრეებიდან; საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციოზი — გაზეთი „მონდი" აცხადებს, რომ სამინისტროში „არც ადასტურებენ, და არც უარჰყოფენ" ასეთ ხმებს. როგორც სჩანს, საცდელი ბუშტი აშვებულია არა საკმაოდ გამოცდილი ხელით.

პარიზის კონფერენციის მიერ მისი მუშაობის პირველი ორი კვირის განმავლობაში დაშვებული შეცდომები და ის უშნო მანევრები, რომელთაც მის კულისებს უკან ეწევიან, აშკარა ზიანს აყენებენ კონფერენციის ავტორიტეტს და, უდავოა, მათ შეუძლიათ გავლენა იქონიონ მის პერსპექტივებზე.

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

მოქალაქე **ნიკოლოზ ანდრიას-ძე ზუბარევმა** მცხოვრებმა მოსკოვის ქ. № 44, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ნინო ივანეს-ასულ კრუჩნოვასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ბერიას რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

შვილები ნინო, ნადე, მანია, სიძეები გრიშა გაბისონია და თადეოზ ბართაია იუწყებიან **ალათი სულავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა ვეგექორში.

ოჯახი იუწყება **ანა ნიკოლოზის-ასულ დარაშვილის** გარდაცვალებას.

ოჯახი იუწყება **ტერეზია ალექსის-ასულ ჯაფარიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფელ კვაცხუთში.

ოჯახი იუწყება **პეტრე სამსონის-ძე ქუთათელაძის (სამსონიძის)** გარდაცვალებას.

ძმა იპოლიტე, შვილები კოლია, ტერენტი, ილია კაკაურიძეები იუწყებიან **დოროთე თეიმურაზის-ძე კაკაურიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 15/VIII, სოფელ პირველ სვირში.

ოჯახი იუწყება **ვერა ვასილის-ასულ მაისურაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 13/VIII, 7 ს. გამოსვენება 14/VIII, 6 ს. მამაცაშვილის ქ., 17.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, უცხოეთის ამბებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000. უე 00067